

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №82

2020 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტი (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ“.

მუხლი 2

სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო აქვეყნებს სტანდარტ(ებ)ს (სტანდარტების დასახელებას), რომელიც უზრუნველყოფს ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებას.

მუხლი 3

ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვროს სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

მუხლი 4

ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებას ასევე უზრუნველყოფს „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების დანართით გათვალისწინებული ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომელიც დასტურდება ამავე ქვეყნებში შესაბამისობის შეფასებისთვის დადგენილი წესით, მათ შორის, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისათვის გათვალისწინებულ ენაზე.

მუხლი 5

1. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, შეამოწმოს საქართველოს ბაზარზე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესაბამისობა ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესაბამისობაში მოსაყვანად.

2. შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად და უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენლის დაშვება პროდუქტის რეალიზაციის ადგილებში, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას პროდუქტის შესაბამისობის დასადგენად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

მუხლი 6

1. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის X და XI დანართებით გათვალისწინებული პროდუქტის (გარდა ფიზიკური პირის მიერ 30 კალენდარულ დღეში ერთხელ, ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი 500 ლარამდე ღირებულების 30 კგ-მდე საერთო წონის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა, რომლებიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის) იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის იმპორტიორი ვალდებულია, სსიპ – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) ვებგვერდის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურსა და სააგენტოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს



„ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინება“, რომლის ფორმა, შევსებისა და დადასტურების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (შემდგომში – ერთობლივი ბრძანება).

2. შემოსავლების სამსახური ვალდებულია, დადასტურებული „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ წარდგენის გარეშე შეაჩეროს და არ დაუშვას იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის X დანართში მოცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, ხოლო XI დანართში მითითებულის – მხოლოდ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული წესით სააგენტოს მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში.

3. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრა, საქონლის მიმართ საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები, საქონლის მფლობელის/იმპორტიორის ხარჯით.

4. შემოსავლების სამსახური ვალდებულია, საფუძვლიანი ექვს არსებობისას ან/და რისკების მართვის სისტემაზე დაყრდნობით, შეაჩეროს პროდუქტი და აღნიშნულის შესახებ აცნობოს სააგენტოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ამავე მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია, საფუძვლიანი ექვს არსებობისას ან/და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, შემოსავლების სამსახურს მიმართოს საქონლის შეჩერების თაობაზე. ასეთ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახური ვალდებულია, შეაჩეროს პროდუქტი ამ მუხლით გათვალისწინებული, პროდუქტის შემოწმებისათვის განსაზღვრული ვადით და არ დაუშვას იმპორტის გზით ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება.

5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, შემოსავლების სამსახური ვალდებულია, არ დაუშვას ასეთი პროდუქტის იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება.

6. სააგენტო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობა, შემოსავლების სამსახურისგან ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროდუქტის შესაბამისობის დასადგენად აუცილებელია ლაბორატორიული კვლევა.

7. სააგენტო უფლებამოსილია, „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტური კონტროლი.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში აიღოს პროდუქტის ნიმუში, შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში მისი გამოცდის მიზნით.

9. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის შესაბამისობის დასადგენად აუცილებელია ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, სააგენტო პროდუქტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობას ადგენს პროდუქტის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შესაბამისი საექსპერტო დასკვნის სააგენტოში წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის დადგენილება №318 – ვებგვერდი, 02.07.2021წ.

მუხლი 7

2021 წლის 1 ივლისამდე საქართველოს ფინანსთა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებმა უზრუნველყონ ერთობლივი ნორმატიული აქტის – რეგლამენტით დადგენილი პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების ფორმისა და მისი შევსების/დადასტურების წესის დამტკიცება.



მუხლი 8

1. დადგენილება, გარდა მე-5 და მე-7 მუხლებისა, ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

2. ამ დადგენილების მე-5 და მე-7 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილების მე-5 მუხლი მოქმედებს 2021 წლის 1 დეკემბრამდე.

4. დადგენილების მოქმედება, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, შეჩერდეს 2021 წლის პირველ დეკემბრამდე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №795 – ვებგვერდი, 28.12.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 ივლისის დადგენილება №327 – ვებგვერდი, 08.07.2021წ.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

ტექნიკური რეგლამენტი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ბაზარზე ხელმისაწვდომი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაპროექტებისა და წარმოების მოთხოვნებს მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ეს ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე.

3. ეს ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება შემდგომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია შეიარაღებული ძალების გამოყენებისთვის ან კანონისა და წესრიგის დასაცავად;

ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია თავდაცვისთვის, გარდა იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებისა, რომელიც განკუთვნილია სპორტული აქტივობებისთვის;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც დამზადებულია პირადი გამოყენებისთვის, რათა უზრუნველყოს დაცვა:

გ.ა) არაექსტრემალური ატმოსფერული პირობებისგან;

გ.ბ) ჭურჭლის რეცხვის დროს სინესტისა და წყლისგან;

დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც გამოიყენება საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე;

ე) მოტოციკლებისა და მოპედებისთვის განკუთვნილი ჩაფხუტები და ხედვის ეკრანები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალება:

ა.ა) საშუალება, რომელიც დაპროექტებული და დამზადებულია ადამიანის მიერ სატარებლად ან დასაჭერად/დასაკავებლად და განკუთვნილია ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე რისკის თავიდან ასარიდებლად;

ა.ბ) „ა.ა“ პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების



ურთიერთჩანაცვლებადი კომპონენტი, რომელიც აუცილებელია დაცვითი ფუნქციის შესასრულებლად;

ა.გ) „ა.ა“ პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელი სისტემები, რომლებსაც არ ატარებს ადამიანი და არ უჭირავს ადამიანს, დამზადებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარე მოწყობილობასთან ან სანდო დამჭერ წერტილთან შესაერთებლად, და რომელიც არ არის დამზადებული მუდმივად დამაგრებისთვის და გამოყენებამდე არ საჭიროებს შეკვრას.

ბ) ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - გამოყენების ან დისტრიბუციისთვის ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიწოდება კომერციული აქტივობის ფარგლებში, სასყიდლის მიღების მიზნით ან უსასყიდლოდ;

გ) ბაზარზე განთავსება - საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, ინდივიდუალური დაცვის საშუალების ბაზარზე პირველად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) მწარმოებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს, ან დაპროექტებული ან ნაწარმოები აქვს ინდივიდუალური დაცვის საშუალები და საკუთარი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ახდენს მის რეალიზებას;

ე) ავტორიზებული წარმომადგენელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წერილობით ავტორიზებულია მწარმოებლის მიერ მის ნაცვლად განახორციელოს განსაზღვრული ფუნქციები;

ვ) იმპორტიორი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს ბაზარზე განათავსებს სხვა ქვეყანაში წარმოებულ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს;

ზ) დისტრიბუტორი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა მწარმოებლისა და იმპორტიორისა, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალების ბაზარზე ხელმისაწვდომობას;

თ) ეკონომიკური ოპერატორი - მწარმოებელი, ავტორიზებული წარმომადგენელი, იმპორტიორი და დისტრიბუტორი;

ი) ტექნიკური სპეციფიკაცია - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

2. ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებზე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტერმინებისა, ვრცელდება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ტერმინთა განმარტებები.

მუხლი 3. ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ბაზარზე, თუ იგი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, სათანადო შენახვისა და გამოყენების პირობებში აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს და არ უქმნის საფრთხეს ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, შინაურ ცხოველებსა და საკუთრებას.

მუხლი 4. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს II დანართით მისთვის განსაზღვრულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 5. შეუსაბამო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოფენაზე განთავსების წესი

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გამოფენებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე



დატანილი იქნება ნიშანი, რომელიც მკაფიოდ მიუთითებს, რომ ის არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს და რომ არ მოხდება მისი ბაზარზე განთავსება, სანამ არ იქნება შესაბამისობაში მოყვანილი ამ მოთხოვნებთან. გამოფენების დროს მიღებულ უნდა იქნეს ადამიანთა დაცვისთვის აუცილებელი ზომები.

მუხლი 6. მწარმოებლის ვალდებულებები

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებისას მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი დაპროექტებული და წარმოებულია II დანართით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.
2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს III დანართით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია და განახორციელოს მე-16 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების პროცედურა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროცედურების ჩატარების შედეგად დადგინდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესაბამისობა მისთვის დადგენილ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან, მწარმოებელი ვალდებულია შეადგინოს მე-13 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისობის დეკლარაცია.
3. მწარმოებელი ვალდებულია შეინახოს ტექნიკური დოკუმენტაცია და შესაბამისობის დეკლარაცია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.
4. მწარმოებელი ვალდებულია სერიული წარმოებისას დანერგოს ყველა აუცილებელი პროცედურა, რათა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მწარმოებელმა უნდა გაითვალისწინოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ფორმის ან მახასიათებლების ცვლილებები, ასევე იმ სტანდარტების ან სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების ცვლილებები, რომელთა გათვალისწინებითაც შედგა შესაბამისობის დეკლარაცია. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რისკებთან მიმართებით, მწარმოებელი ვალდებულია საბოლოო მომხმარებლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით განახორციელოს ბაზარზე ხელმისაწვდომი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნიმუშების კვლევა, გამოიძიოს და აუცილებლობის შემთხვევაში აწარმოოს საჩივრების, შეუსაბამო და ამოღებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რეესტრი. ამგვარი მონიტორინგის შესახებ უნდა ეცნობოს დისტრიბუტორებს.
5. მწარმოებელი ვალდებულია, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იდენტიფიცირების მიზნით, უზრუნველყოს მასზე შესაბამისი ტიპის, სერიული ნომრის ან სხვა ინფორმაციის დატანა. იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ზომის ან თავისებურების გამო აღნიშნული შეუძლებელია, ინფორმაცია დატანილ უნდა იქნეს შეფუთვაზე ან თანდართულ დოკუმენტაციაში.
6. მწარმოებელი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე დაიტანოს საკუთარი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირება. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია დატანილ უნდა იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეფუთვაზე ან უნდა მიეთითოს თანდართულ დოკუმენტაციაში. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს საკონტაქტო მისამართს, რომელზეც შესაძლებელი იქნება მწარმოებელთან დაკავშირება. საკონტაქტო ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
7. მწარმოებელი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს თან ერთოდეს შესაბამისი ინსტრუქციები და II დანართით განსაზღვრული ინფორმაცია ქართულ ენაზე. აღნიშნული ინსტრუქციები და ინფორმაცია, ისევე როგორც ყველა სახის ნიშანდება უნდა იყოს ცხადი, მკაფიო, გარჩევადი და გასაგები.
8. მწარმოებელი ვალდებულია, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს თან დაურთოს შესაბამისობის დეკლარაცია ან II დანართის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ინსტრუქციებსა და ინფორმაციაში მიუთითოს ინტერნეტ მისამართი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისობის დეკლარაციაზე წვდომა.



9. თუ მწარმოებელი თვლის, ან აქვს მიზეზი სჯეროდეს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ შეესაბამება ამ ტექნიკურ რეგლამენტს, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა აუცილებელი მაკორექტირებელი ზომა პროდუქტის შესაბამისობაში მოსაყვანად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამო პროდუქტი გამოითხოვოს ან ამოიღონ ბაზრიდან. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შეიცავს რისკს, მწარმოებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს და მიაწოდოს შესაბამისი დეტალები, მათ შორის ინფორმაცია შეუსაბამობებისა და გატარებული მაკორექტირებელი ზომების შესახებ.

10. მწარმოებელი ვალდებულია, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით მიაწოდოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ენაზე შევსებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია პროდუქტის ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასადასტურებლად. მწარმოებელი ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულ იქნა მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოშობილი რისკების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 7. ავტორიზებული წარმომადგენლები

1. მწარმოებელს შეუძლია წერილობითი მანდატის საფუძველზე დანიშნოს ავტორიზებული წარმომადგენელი.

ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულებები და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება არ შეიძლება იყოს ავტორიზებული წარმომადგენლის უფლებამოსილების ნაწილი.

2. ავტორიზებული წარმომადგენელი ვალდებულია განახორციელოს მწარმოებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით გათვალისწინებული ფუნქციები. უფლებამოსილება ავტორიზებულ წარმომადგენელს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას განახორციელოს არანაკლებ შემდეგი ფუნქციები:

ა) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად შეინახოს შესაბამისობის დეკლარაცია და ტექნიკური დოკუმენტაცია პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში;

ბ) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს პროდუქტის შესაბამისობის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

გ) შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან ბაზარზე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებიდან გამოწვეული რისკების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში.

მუხლი 8. იმპორტიორის ვალდებულებები

1. იმპორტიორი ვალდებულია ბაზარზე განათავსოს მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებამდე იმპორტიორი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მწარმოებლის მიერ განხორციელებულია მე-16 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების პროცედურა. იმპორტიორი ასევე ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ მწარმოებლის მიერ შედგენილია შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია და გათვალისწინებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტის მოთხოვნები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დატანილია ნიშანდება და ახლავს საჭირო დოკუმენტაცია. იმპორტიორი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობაში მოყვანამდე არ განათავსოს ინდივიდუალური დაცვის საშუალება ბაზარზე, თუ თვლის ან აქვს მიზეზი, სჯეროდეს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალება არ შეესაბამება II დანართით გათვალისწინებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური დაცვის საშუალება რისკის



შემცველია, იმპორტიორი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს მწარმოებელსა და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს.

3. იმპორტიორი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დაიტანოს საკუთარი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირება. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში ინფორმაცია დატანილ უნდა იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალების შეფუთვაზე ან თანმხლებ დოკუმენტაციაში. საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

4. იმპორტიორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს თან ახლდეს შესაბამისი ინსტრუქციები და II დანართის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ქართულ ენაზე.

5. იმპორტიორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დასაწყობებისა და ტრანსპორტირების პირობები საფრთხეს არ შეუქმნის მის შესაბამისობას II დანართით გათვალისწინებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან.

6. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შეიცავს რისკს, იმპორტიორი ვალდებულია საბოლოო მომხმარებლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ბაზარზე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნიმუშების შემოწმება, გამოიძიოს და საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს საჩივრების, შეუსაბამო და ამოღებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რეესტრი, ამგვარი მონიტორინგის შესახებ აცნობოს დისტრიბუტორებს.

7. თუ იმპორტიორი თვლის ან აქვს მიზეზი, სჯეროდეს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ შეესაბამება ამ ტექნიკურ რეგლამენტს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა აუცილებელი მაკორექტირებელი ზომა აღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის შესაბამისობაში მოსაყვანად, ბაზრიდან ამოსაღებად ან გამოსათხოვად. იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ი შეიცავს რისკს, იმპორტიორმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია შეუსაბამობებისა და მიღებული მაკორექტირებელი ზომების შესახებ.

8. იმპორტიორი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად შეინახოს შესაბამისობის დეკლარაციის ასლი და უზრუნველყოს, რომ სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში ტექნიკური დოკუმენტაცია მიეწოდოს ამ ორგანოს.

9. იმპორტიორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის შესაბამისობის დასადასტურებლად. იმპორტიორი ვალდებულია, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ითანამშრომლოს ზემოთ აღნიშნულ ორგანოსთან იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულ იქნა მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოშობილი რისკების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 9. დისტრიბუტორების ვალდებულებები

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას, დისტრიბუტორი ვალდებულია სათანადო ყურადღება დაუთმოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

2. პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფამდე დისტრიბუტორი ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ზე დატანილია ნიშანდება, თან ახლავს მოთხოვნილი დოკუმენტაცია და II დანართის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქციები და ინფორმაცია ქართულ ენაზე. დისტრიბუტორი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ მწარმოებელმა და იმპორტიორმა დააკმაყოფილეს მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. თუ დისტრიბუტორი თვლის ან აქვს მიზეზი სჯეროდეს, რომ ინდივიდუალური დაცვის



საშუალება არ შეესაბამება II დანართით გათვალისწინებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს, იგი ვალდებულია შესაბამისობაში მოყვანამდე არ განათავსოს ინდივიდუალური დაცვის საშუალება ბაზარზე. თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიცავს რისკს, დისტრიბუტორი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მწარმოებელს ან იმპორტიორს და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს.

3. დისტრიბუტორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები საფრთხეს არ უქმნიდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის შესაბამისობას II დანართით განსაზღვრულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან.

4. დისტრიბუტორი, რომელიც თვლის ან აქვს მიზეზი სჯეროდეს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალება არ შეესაბამება ამ ტექნიკურ რეგლამენტს, ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა საჭირო მაკორექტირებელი ზომა ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის შესაბამისობაში მოსაყვანად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გამოითხოვოს ან ამოიღოს ბაზრიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიცავს რისკს, დისტრიბუტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია შეუსაბამობებისა და გატარებული მაკორექტირებელი ზომების შესახებ.

5. დისტრიბუტორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის შესაბამისობის დასადასტურებლად. დისტრიბუტორი ვალდებულია, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ითანამშრომლოს ზემოთ აღნიშნულ ორგანოსთან იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულ იქნა მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოშობილი რისკების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 10. მწარმოებელთა ვალდებულებების გავრცელება იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებზე

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის იმპორტიორი ან დისტრიბუტორი მიჩნეულ უნდა იქნეს მწარმოებლად და მათზე უნდა გავრცელდეს მე-6 მუხლით გათვალისწინებული მწარმოებლის ვალდებულებები იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ინდივიდუალური დაცვის საშუალებას ბაზარზე ათავსებენ საკუთარი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ან ახდენენ ბაზარზე უკვე განთავსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებ(ებ)ის იმგვარ გადაკეთებას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამ რეგლამენტით მისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუხლი 11. ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიკაცია

1. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ინფორმაცია იმ ეკონომიკური ოპერატორის შესახებ, რომელმაც მას მიაწოდა ინდივიდუალური დაცვის საშუალება;

ბ) ინფორმაცია იმ ეკონომიკური ოპერატორის შესახებ, რომელსაც მან მიაწოდა ინდივიდუალური დაცვის;

2. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია უფლებამოსილი პირისთვის წარსადგენად შეინახოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია 10 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მას მიაწოდეს ან მის მიერ იქნა მიწოდებული ინდივიდუალური დაცვის საშუალება.

მუხლი 12. ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობის პრეზუმფცია

ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც დამზადებულია სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოქვეყნებული სტანდარტებით ან მათი ნაწილებით გათვალისწინებული



მოთხოვნების შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ასევე შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართით განსაზღვრულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც ფარავს აღნიშნული სტანდარტები ან მათი ნაწილები.

მუხლი 13. შესაბამისობის დეკლარაცია

1. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს განაცხადს იმის შესახებ, რომ II დანართით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნა.
2. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შედგეს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ენაზე, IX დანართით გათვალისწინებული სტრუქტურის შესაბამისად. დეკლარაცია უნდა შეიცავდეს IV, VI, VII და VIII დანართების შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებულ ელემენტებს და ექვემდებარებოდეს მუდმივ განახლებას.
3. შესაბამისობის დეკლარაციის შედგენით მწარმოებელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 14. ნიშანდების დატანის წესი და პირობები

1. ამ მუხლით გათვალისწინებული ნიშანდებები ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დატანილ უნდა იქნეს ადვილად აღსაქმელი ფორმით, მკაფიოდ და წაუშლელად. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნიშანდები დატანილ უნდა იქნეს შეფუთვაზე და ინდივიდუალური დაცვის საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციაზე.
2. ნიშანდები დატანილ უნდა იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე მის ბაზარზე განთავსებამდე.
3. III კატეგორიის ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დატანილ უნდა იქნეს VII და VIII დანართებით გათვალისწინებულ პროცედურაში მონაწილე შესაბამისობის შემფასებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები. აღნიშნული მონაცემები დატანილ უნდა იქნეს თავად შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ ან მისი ინსტრუქციის შესაბამისად, მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
4. შესაბამისობის შემფასებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე შესაძლოა დატანილ იქნეს პიქტოგრამა ან სხვა ნიშანდები, რომელიც ასახავს იმ რისკების შესახებ ინფორმაციას, რომელთა წინააღმდეგ დაცვისთვისაც არის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალება.

მუხლი 15. ინდივიდუალური დაცვის საშუალების რისკის კატეგორიები

ინდივიდუალური დაცვის საშუალების რისკის კატეგორიების კლასიფიცირება უნდა განხორციელდეს I დანართის შესაბამისად.

მუხლი 16. შესაბამისობის შეფასების პროცედურები

1. I დანართით გათვალისწინებული თითოეული რისკის კატეგორიის მქონე ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობის შეფასების პროცედურებია:
 - ა) კატეგორია I: IV დანართით გათვალისწინებული წარმოების შიდა კონტროლი (მოდული A);
 - ბ) კატეგორია II: V დანართით გათვალისწინებული ტიპის გამოცდა (მოდული B) და VI დანართით გათვალისწინებული პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლზე (მოდული C);
 - გ) კატეგორია III: V დანართით გათვალისწინებული ტიპის გამოცდა (მოდული B) და რომელიმე



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

გ.ა) VII დანართით გათვალისწინებული პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლსა და შემთხვევითი ინტერვალებით პროდუქტის საკონტროლო შემოწმებაზე (მოდული C2);

გ.ბ) VIII დანართით გათვალისწინებული ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე (მოდული D).

2. იმ შემთხვევაში, თუ III კატეგორიას მიკუთვნებული ინდივიდუალური დაცვის საშუალება დამზადებულია ერთ ერთეულად ინდივიდუალური მომხმარებლისთვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 17. შესაბამისობის შემფასებელ პირებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის, ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ განსახორციელებელი შესაბამისობის შეფასების განხორციელების უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებულ ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტებულ შესაბამისობის შემფასებელ პირებს, რომლებიც ამ მიზნით რეგისტრირდებიან აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოში – აკრედიტაციის ცენტრში (შემდგომში – აკრედიტაციის ცენტრი).

2. შესაბამისობის შემფასებელი პირი უნდა წარმოადგენდეს მის მიერ შემოწმებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების მწარმოებლისგან ან/და ორგანიზაციისგან დამოუკიდებელ მესამე პირს. შესაბამისობის შემფასებელი პირი, რომელიც გაწევრიანებულია ბიზნეს ასოციაციაში ან პროფესიულ ფედერაციაში, რომელიც პასუხისმგებელია ან ჩართულია ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებაში, წარმოებაში, მოწოდებაში, აწყობაში, გამოყენებასა ან მომსახურებაში, უფლებამოსილია განახორციელოს ამ ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობის შეფასება, თუ დაამტკიცებს დამოუკიდებლობასა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას.

3. შესაბამისობის შემფასებელი პირი, მისი ხელმძღვანელობა და შესაბამისობის შეფასების პროცესში განხორციელებულ ქმედებებზე უშუალოდ პასუხისმგებელი პერსონალი, არ უნდა იყოს იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამპროექტებელი, მწარმოებელი, მიმწოდებელი, მემონტაჟე, მყიდველი, მესაკუთრე, მომხმარებელი ან მომსახურების გამწვევი, რომელსაც თავად აფასებს, ან რომელიმე ამ პირის ავტორიზებული წარმომადგენელი. აღნიშნული არ კრძალავს შეფასებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ მისი საქმიანობისთვის ან პირადი მიზნებისთვის გამოყენებას. აღნიშნულ პირებს არა აქვთ უფლება უშუალოდ ან წარმომადგენლობითი სახით მონაწილეობდნენ პროექტირებაში, წარმოებაში, რეალიზაციაში ან ინდივიდუალური დაცვის საშუალების მომსახურებასა და შეკეთებაში. ისინი არ უნდა იყვნენ ჩართულნი ისეთ საქმიანობაში, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შესაბამისობის შეფასებისას. აღნიშნული ვალდებულება ასევე ვრცელდება საკონსულტაციო მომსახურებაზე.

4. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი შვილობილი საწარმოებისა და ქვეკონტრაქტორების საქმიანობა გავლენას არ ახდენდეს მათ მიერ შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების ჩატარების კონფიდენციალურობაზე, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე.

5. შესაბამისობის შემფასებელი პირი და მისი პერსონალი ვალდებულია შესაბამისობის შეფასების ღონისძიებები განახორციელონ კეთილსინდისიერად, გააჩნდეთ საჭირო ტექნიკური ცოდნა სპეციფიკურ სფეროში და თავისუფალნი იყვნენ ფინანსური ან/და ნებისმიერი ზეწოლისაგან ან მოტივაციისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ განსჯაზე ან შესაბამისობის შეფასების შედეგებზე, განსაკუთრებით იმ პირებთან ან პირთა ჯგუფთან მიმართებაში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ ღონისძიებების შედეგებით.



6. შესაბამისობის შემფასებელ პირს უნდა შეეძლოს V, VII, და VIII დანართებით გათვალისწინებული იმ შესაბამისობის შეფასების ფუნქციების შესრულება, რომელთა განსახორციელებლადაც მოხდა მისთვის აკრედიტაციის მინიჭება. მათ შორის მათ შორის, როდესაც შესაბამისობის შეფასების პროცედურა ხორციელდება ამ პირის სახელით.

7. შესაბამისობის შეფასების პროცედურის განხორციელებისას, მისი აკრედიტაციის სფეროში შემავალი ყოველი ინდივიდუალური დაცვის საშუალებისთვის შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია ნებისმიერ დროს გააჩნდეს:

ა) პერსონალი, რომელსაც გააჩნია ტექნიკური ცოდნა და საკმარისი და სათანადო გამოცდილება შესაბამისობის შეფასების განხორციელებისთვის;

ბ) პროცედურები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება შესაბამისობის შეფასება, რაც უზრუნველყოფს ამ პროცედურების გამჭვირვალობას და განმეორებით ჩატარების შესაძლებლობას. შესაბამისობის შემფასებელ პირს უნდა გააჩნდეს სათანადო პოლიტიკა და პროცედურები მის მიერ აკრედიტაციის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების სხვა ქმედებებისგან გასამიჯნად.

გ) პროცედურები იმ ქმედებების შესასრულებლად, რომლებიც ითვალისწინებს დაგეგმილი საქმიანობის ზომას, საქმიანობის სფეროს, სტრუქტურას, ტექნოლოგიის სირთულის დონეს და წარმოების პროცესის მასობრივ ან სერიულ ხასიათს.

8. შესაბამისობის შემფასებელ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისობის შეფასების პროცედურასთან დაკავშირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისთვის აუცილებელი საშუალებები და ხელი მიუწვდებოდეს აუცილებელ ინდივიდუალური დაცვის საშუალებასა და საშუალებებზე.

9. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პერსონალს:

ა) გააჩნდეს მაღალი დონის ტექნიკური და პროფესიული მომზადება შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის ფარგლებში განსახორციელებელი ფუნქციების შესასრულებლად;

ბ) ჰქონდეს შესაბამისობის შეფასების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ცოდნა და სათანადო უფლებამოსილება შეფასების განსახორციელებლად;

გ) ჰქონდეს აუცილებელი მოთხოვნების, შესაბამისი სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესახებ სათანადო ცოდნა;

დ) შეეძლოს იმ სერტიფიკატების, ჩანაწერებისა და ანგარიშების მომზადება, რომლებიც ადასტურებენ შეფასების განხორციელებას.

10. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისობის შემფასებელი პირის, მისი ხელმძღვანელობისა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პერსონალის მიუკერძოებლობა. შესაბამისობის შემფასებელი პირის ხელმძღვანელობისა და შემფასებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩატარებული შეფასებების რაოდენობაზე ან ამ შეფასებების შედეგებზე.

11. შესაბამისობის შემფასებელ პირს უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობის დაზღვევა.

12. შესაბამისობის შემფასებელი პირის პერსონალი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება ყველა იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომლის მოპოვებაც ხდება ტექნიკური რეგლამენტის V, VII და VIII დანართებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საავტორო უფლებების დაცვა.

მუხლი 18. შესაბამისობის შემფასებელი პირის შვილობილი კომპანიები და ქვეკონტრაქტორები



1. თუ შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაბამისობის შეფასების პროცესში განსაზღვრულ ფუნქციებს შესასრულებლად გადასცემს ქვეკონტრაქტორ ან შვილობილ ორგანიზაციას, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეკონტრაქტორი ან მისი შვილობილი კომპანია აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლში მოცემულ მოთხოვნებს და ამის შესახებ აცნობოს აკრედიტაციის ცენტრს.
2. შესაბამისობის შემფასებელი პირი პასუხს აგებს მისი ქვეკონტრაქტორის ან შვილობილი საწარმოს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, მათი დაფუძნების ადგილის მიუხედავად.
3. შესაბამისობის შემფასებელი პირი უფლებამოსილია, ქვეკონტრაქტორს ან შვილობილ საწარმოს ფუნქციები გადასცეს მხოლოდ დამკვეთის თანხმობის შემთხვევაში.
4. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია აკრედიტაციის გამცემი ორგანოსთვის ხელმისაწვდომად შეინახოს ქვეკონტრაქტორისა და შვილობილი ორგანიზაციის კვალიფიკაციისა და მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.
5. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია, აკრედიტაციის ცენტრისათვის წარსადგენად შეინახოს ყველა დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქვეკონტრაქტორის ან შვილობილი კომპანიის კვალიფიკაციის შეფასებას და მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს ამ ტექნიკური რეგლამენტის V, VII და VIII დანართების ფარგლებში.

მუხლი 19. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ვალდებულებები

1. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ვალდებულია განახორციელოს შესაბამისობის შეფასება ამ ტექნიკური რეგლამენტის V, VII და VIII დანართებში მოცემული შესაბამისობის შეფასების პროცედურის შესაბამისად.
2. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ვალდებულია შესაბამისობის შეფასებები განახორციელოს პროპორციულად, ეკონომიკური ოპერატორებისთვის არასაჭირო ტვირთის დაკისრების გარეშე, დაგეგმილი საქმიანობის ზომის, საქმიანობის სფეროს, სტრუქტურის, პროდუქტის ტექნოლოგიური სირთულის და წარმოების პროცესის მასობრივი ან სერიული ხასიათის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისას შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შეფასების დასადასტურებლად მოთხოვნილი უსაფრთხოებისა და სიზუსტის ხარისხი.
3. თუ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო აღმოაჩენს, რომ მწარმოებელი არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის II დანართით განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნებს ან ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებს, იგი ვალდებულია მოსთხოვოს მწარმოებელს სათანადო მაკორექტირებელი ზომების მიღება და არ გასცეს სერტიფიკატი ან დადასტურების გადაწყვეტილება.
4. თუ სერტიფიკატის ან დადასტურების გადაწყვეტილების გამოცემის შემდეგ, შესაბამისობის მონიტორინგის პროცესში, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო აღმოაჩენს, რომ პროდუქტი აღარ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, იგი ვალდებულია მწარმოებელს მოსთხოვოს სათანადო მაკორექტირებელი ზომების მიღება და საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს ან გააუქმოს სერტიფიკატი ან დადასტურების გადაწყვეტილება.
5. თუ მწარმოებლის მიერ არ იქნა მიღებული სათანადო მაკორექტირებელი ზომები ან მიღებულ ზომებს არ აქვს საჭირო ეფექტი, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ვალდებულია შესაბამისად შეზღუდოს, შეაჩეროს ან გააუქმოს სერტიფიკატი ან დადასტურების გადაწყვეტილება.

მუხლი 20. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ვალდებულია აკრედიტაციის ცენტრს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) სერტიფიკატის ან დადასტურების გადაწყვეტილების გაცემაზე უარის, შეზღუდვის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ;



ბ) ნებისმიერი გარემოების შესახებ, რაც გავლენას ახდენს აკრედიტაციის სფეროს მასშტაბსა და პირობებზე;

გ) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ, შესაბამისობის შეფასების ღონისძიებებთან დაკავშირებით მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში, აკრედიტაციის ფარგლებში განხორციელებული შესაბამისობის შეფასების და ნებისმიერი სხვა ღონისძიებების შესახებ, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო ღონისძიებების ან/და მის მიერ ქვეკონტრაქტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 21. რისკის შემცველ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული პროცედურები

1. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ამ დადგენილებით განსაზღვრული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში ხელმძღვანელობს ამ ტექნიკური რეგლამენტითა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრული საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობის პროცედურებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ექვსის საფუძველი, რომ ამ ტექნიკური რეგლამენტით დაფარული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველია, იგი ვალდებულია განახორციელოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებები და ამის შესახებ აცნობოს სათანადო შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს ასეთის არსებობის შემთხვევაში და ამის შესახებ აცნობოს შესაბამის აკრედიტაციის ორგანოს.

მუხლი 22. დოკუმენტური შეუსაბამობა

1. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს შეუსაბამობების გამოსწორება, თუ სახეზეა შემდგომ დოკუმენტურ დარღვევათაგან რომელიმე:

ა) ნიშანდება დატანილ იქნა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლების დარღვევით;

ბ) შესაბამისი ნიშანდება არ იქნა დატანილი;

გ) შესაბამისობის დეკლარაცია არ იქნა შედგენილი;

დ) შესაბამისობის დეკლარაცია სწორად არ იქნა შედგენილი;

ე) ტექნიკური დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ან არასრულყოფილია.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შეუსაბამობები არ იქნა აღმოფხვრილი, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები, რათა შეიზღუდოს ან აიკრძალოს ამგვარი პროდუქტის ბაზარზე განთავსება, ხოლო უკვე განთავსებული პროდუქტები გამოთხოვილ ან/და ამოღებულ იქნეს ბაზრიდან.

I დანართი

ინდივიდუალური დაცვის საშუალების რისკის კატეგორიები

1. ეს დანართი განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს, რომელთაგანაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებამ უნდა დაიცვას მომხმარებელი.

2. I კატეგორია მოიცავს შემდგომ რისკებს:

ა) ზედაპირული მექანიკური დაზიანება;



ბ) სუსტი მოქმედების საწმენდ მასალებთან კონტაქტი ან წყალთან ხანგრძლივი კონტაქტი;

გ) კონტაქტი ცხელ ზედაპირთან, რომლის ტემპერატურაც არ აღემატება 50 °C-ს;

დ) მზის სინათლის ზემოქმედებით გამოწვეული თვალების დაზიანება (გარდა მზეზე დაკვირვებით მიღებულისა);

ე) ატმოსფერული პირობები, რომლებიც არ არის ექსტრემალური ბუნების.

3. II კატეგორია მოიცავს რისკებს, რომლებსაც არ განსაზღვრავს I და III კატეგორიები.

4. III კატეგორია განსაზღვრავს რისკებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი სერიოზული შედეგები, როგორებიცაა სიკვდილი და ჯანმრთელობის განუკურნებელი დაზიანება. ეს რისკები შესაძლოა დაკავშირებული იყოს შემდგომ მიზეზებთან:

ა) ნივთიერებები და ნაერთები, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია;

ბ) ატმოსფეროში ჟანგბადის ნაკლებობა;

გ) საზიანო ბიოლოგიური აგენტები;

დ) მაიონებელი გამოსხივება;

ე) მაღალი ტემპერატურის გარემო, რომლის ეფექტიც უთანაბრდება სულ მცირე 100 °C ჰაერის ტემპერატურის ეფექტს;

ვ) დაბალი ტემპერატურის გარემო, რომლის ეფექტიც უთანაბრდება მაქსიმუმ -50 °C ჰაერის ტემპერატურის ეფექტს;

ზ) სიმაღლიდან ვარდნა;

თ) ელექტრული შოკი და ძაბვის ქვეშ მუშაობა;

ი) დახრჩობა;

კ) ხელში დასაჭერი ხერხით მიღებული ჭრილობები;

ლ) მაღალი წნევის ჰავლები;

მ) ტყვიით ან დანით მიყენებული ჭრილობები;

ნ) ზიანის მომტანი ხმაური.

II დანართი

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები

თავი I

პრინციპები

მუხლი 1. ზოგადი პრინციპები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა.

2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან დაკავშირებული ვალდებულებები



ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კონკრეტული ინდივიდუალური დაცვის საშუალებისთვის დამახასიათებელი რისკი.

3. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები განმარტებული და გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებისა და წარმოების დროს არსებული პრაქტიკისა და ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით, ასევე იმ ეკონომიკური და ტექნიკური მიზანშეწონილობების გათვალისწინებით, რომლებიც თავსებადია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მაღალ დონესთან.

4. მწარმოებელი ვალდებულია განახორციელოს რისკის ანალიზი მის მიერ წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების მიზნით და ინდივიდუალური დაცვის საშუალება აწარმოოს აღნიშნული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.

5. ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებისა და წარმოების დროს, ასევე ინსტრუქციების მომზადებისას, მწარმოებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების არა მხოლოდ დანიშნულების მიხედვით, არამედ გონივრულად განჭვრეტადი გამოყენებაც. შესაბამის შემთხვევებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე სხვა პირების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

თავი II

ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება ყველა ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე

მუხლი 2. ზოგადი მოთხოვნა

ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა უზრუნველყოფდეს გათვალისწინებული რისკებისგან ადეკვატურ დაცვას.

მუხლი 3. დაპროექტების პრინციპები

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება დაპროექტებული და წარმოებული უნდა იყოს იმგვარად, რომ წინასწარგანსაზღვრული დანიშნულებით გამოყენებისას მომხმარებელს შეემდოს რისკების შემცველი საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელება.

2. მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებისას გასათვალისწინებელი დაცვის ოპტიმალური დონისა და კლასისადმი:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებისას გასათვალისწინებელი დაცვის ოპტიმალური დონე არის ისეთი დონე, რომლის მიღმა ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტარებით გამოწვეული შეზღუდვები ხელს შეუშლის რისკის შემცველ გარემოში მოხმარებისა და ნორმალური აქტივობის დროს მის ეფექტურ გამოყენებას;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური დაცვის საშუალების სხვადასხვა წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობები იმგვარია, რომ წარმოიშობა ერთი და იმავე რისკის სხვადასხვა დონე, ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაცვის შესაბამისი კლასები.

მუხლი 4. ინდივიდუალური დაცვის საშუალების უვნებლობა

ინდივიდუალური დაცვის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და დამზადებული, რომ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენებისას არ წარმოქმნიდეს რისკებს ან სხვა საფრთხის შემცველ ფაქტორებს;

ა) მასალები, რომლისგანაც დამზადებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალება, მათ შორის ნებისმიერი მოხსნადი ნაწილი, ნეგატიურად არ უნდა ზემოქმედებდეს მომხმარებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.



ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალების იმ ნაწილს, რომელსაც მომხმარებელი შესაძლოა ეხებოდეს მისი გამოყენებისას, არ უნდა გააჩნდეს უხეში ზედაპირი, მახვილი კუთხეები, ბასრი დაბოლოებები და ისეთი ნაწილები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს კანის გადამეტებული გაღიზიანება ან ფიზიკური ტრავმა;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება არ უნდა უშლიდეს ხელს განსახორციელებელ მოქმედებასა და სენსორულ აღქმას. ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ისეთი მოქმედებები, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მომხმარებელს.

მუხლი 5. კომფორტი და ეფექტურობა

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ მომხმარებელს მარტივად შეეძლოს მისი მორგება, ნარჩუნდებოდეს მორგების ადგილზე წინასწარ განჭვრეტადი მოხმარების განმავლობაში და აღნიშნული მიზნით ითვალისწინებდეს განსახორციელებელ ქმედებებს, მისაღებ პოზებს და ასევე სხვა განუსაზღვრელ ფაქტორებს. აღნიშნული მიზნით შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების მორგება მომხმარებლის აგებულებაზე ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის სათანადო მორგებისა და რეგულირების სისტემებითა და ზომებისა და მასშტაბების ადეკვატური შერჩევის გზებით.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა იყოს რაც შეიძლება მსუბუქი, ისე რომ ხელი არ შეეშალოს მის სიმტკიცესა და ეფექტურობას და უნდა აკმაყოფილებდეს დამატებით სპეციალურ მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი დანიშნულებით განსაზღვრული რისკებისგან ეფექტური დაცვა და მოხმარების წინასწარ განჭვრეტად პირობებში უძლებდეს გარემო ფაქტორებს.

3. ერთი და იმავე მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული სხვადასხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ერთმანეთთან თავსებადი უნდა იყოს იმგვარად, რომ მათი ერთობლივი გამოყენებისას უზრუნველყოფილ იქნეს მომხმარებლის სხეულის სხვადასხვა ნაწილის დაცვა.

4. დამცავი ტანსაცმელი, რომელსაც გააჩნია შეცვლადი დამცავი ნაწილები, წარმოადგენს ინდივიდუალურ დაცვის საშუალებას და შესაბამისობის შეფასების პროცედურებისას განხილულ უნდა იქნეს როგორც კომპლექტი.

მუხლი 6. მწარმოებლის ინსტრუქცია და ინფორმაცია

1. მწარმოებლის სახელსა და მისამართთან ერთად ინდივიდუალურ დაცვის საშუალებას თან უნდა ახლდეს ინსტრუქციები, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შენახვის, გამოყენების, შეკეთების, მოვლისა და დეზინფექციის ინსტრუქციებს. მწარმოებლის მიერ რეკომენდებული წმენდის, მოვლისა და დეზინფექციისთვის გამოსაყენებელი პროდუქტები ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოხმარების პირობებში უარყოფით ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს ინდივიდუალურ დაცვის საშუალებასა და მომხმარებელზე;

ბ) დაცვის დონისა და კლასის განსაზღვრისთვის განხორციელებული შემოწმებების დროს ინდივიდუალური დაცვის საშუალების ფუნქციონირებაზე მიღებული მონაცემების შესახებ ჩანაწერებს;

გ) შესაბამის შემთხვევებში, გამოსაყენებელი აქსესუარების და შესაბამისი სათადარიგო ნაწილების მახასიათებლებს;

დ) შესაბამის შემთხვევებში, რისკის სხვადასხვა დონეების შესაბამისი დაცვის კლასებსა და შესაბამისი გამოყენების ლიმიტებს;

ე) შესაბამის შემთხვევებში, ინდივიდუალური დაცვის საშუალების ან მისი გარკვეული ნაწილების მოხმარების ვადებს: თვე, წელი ან პერიოდი;

ვ) შესაბამის შემთხვევებში, ტრანსპორტირებისთვის შესაფერისი შეფუთვის ტიპს;



ზ) ნებისმიერი ნიშანდების მნიშვნელობას;

თ) რისკებს, რომელთა წინააღმდეგ დასაცავად არის შექმნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალება;

ი) მითითებას ამ ტექნიკურ რეგლამენტზე და შესაბამის შემთხვევებში სხვა ტექნიკურ რეგლამენტებზე;

კ) ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობის შეფასების პროცესში ჩართული პირის ან პირების სახელები, მისამართებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ლ) მითითებებს შესაბამის სტანდარტებზე, ამ სტანდარტების მიღების თარიღებს ან სხვა ტექნიკურ სპეციფიკაციებს;

მ) ინტერნეტ მისამართს, სადაც განთავსებულია შესაბამისობის შეფასების დეკლარაცია;

2. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებას თან ახლავს შესაბამისობის შეფასების დეკლარაცია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციის ინსტრუქციაში დატანა არ არის აუცილებელი.

თავი III

დამატებითი მოთხოვნები ზოგიერთი ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისთვის

მუხლი 7. რეგულირებადი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება რეგულირებადია, იგი იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ მორგების შემდგომ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში, არ მოხდეს მისი უნებლიე მოშვება.

მუხლი 8. სხეულის დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც იცავს სხეულის ნაწილებს იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ მისი მოხმარებისას გამოწვეული ოფლის გამოყოფა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური დაცვის საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს ოფლის შეწოვის უნარით.

მუხლი 9. თვალების, სახისა და სასუნთქი სისტემებისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია თვალების, სახისა და სასუნთქი სისტემებისთვის, იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მისგან გამოწვეული მომხმარებლის სახის, თვალების, ხედვის არეალისა და სასუნთქი სისტემის შეზღუდვა.

2. ასეთი ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალების ხედვის ეკრანებს უნდა გააჩნდეს მომხმარებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სიზუსტესა და მუშაობის ხანგრძლივობასთან შესატყვისი ნეიტრალური ოპტიკური მახასიათებლები.

3. აუცილებლობის შემთხვევაში, ამგვარი ინდივიდუალური დაცვის საშუალება დამუშავებული უნდა იყოს დაორთქლვის საწინააღმდეგო საშუალებით ან გააჩნდეს დაორთქლვის პრევენციის საშუალებები.

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოდელი, რომელიც განკუთვნილია მხედველობის პრობლემების მქონე პირებისთვის, თავსებადი უნდა იყოს სათვალეებთან ან კონტაქტურ ლინზებთან.

მუხლი 10. დროთა განმავლობაში შეცვლადი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამზადებით



გათვალისწინებული ფუნქციონირება შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს დროთა განმავლობაში, ამგვარ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე მითითებული უნდა იყოს დამზადების ან/და მწყობრიდან გამოსვლის თვე და წელი. აღნიშნული მითითებები ნიშანდების სახით მკაფიოდ და წაუშლელად უნდა იქნეს დატანილი თითოეულ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე ან მის შეფუთვაზე.

2. თუ მწარმოებელს არ შეუძლია განსაზღვროს ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენების ვადა, იგი ვალდებულია ინსტრუქციებში მიუთითოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შემსყიდველს ან მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს მოდელის ხარისხისა და შენახვის, გამოყენების, წმენდის, შენარჩუნებისა და რემონტის პირობების გათვალისწინებით დაადგინოს აღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალების მწყობრიდან გამოსვლის გონივრული ვადა, შესაბამისი წელი და თვე.

3. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის მიერ რეკომენდირებულმა პერიოდულმა წმენდამ შესაძლოა დააჩქაროს ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაძველება, მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე განთავსებულ თითოეულ ასეთ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე დაიტანოს ნიშანდება, რომელზეც მითითებული იქნება მისი მაქსიმალური წმენდის ოდენობა, რომლის შემდგომაც იგი უნდა დაექვემდებაროს შემოწმებას ან ჩამოწერას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ნიშანდება არ არის დატანილი, ზემოთ ხსენებული ინფორმაცია მითითებულ უნდა იქნეს შესაბამის ინსტრუქციებში.

მუხლი 11. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც გამოყენებისას შეიძლება ჩათრეულ იქნეს

იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში არსებობს მოძრავი საგნების მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალების ჩათრევის რისკი, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მომხმარებელს, იგი ისე უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ ჩათრეული ნაწილი მოიხეს ან გატყდეს და შესაბამისად გამორიცხულ იქნეს მოსალოდნელი საფრთხეები.

მუხლი 12. პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ გამორიცხავდეს ელექტრული და ელექტროსტატიკური მუხტით, დარტყმით გამოწვეულ წრედის ან ნაპერწკლის წარმოქმნით გამოწვეულ ფეთქებადი ნაზავების აალებას.

მუხლი 13. მყისიერი გამოყენებისთვის გამიზნული ან მყისიერად მორგებადი და მოხსნადი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

1. მყისიერი გამოყენებისთვის გამიზნული ან მყისიერად მორგებადი და მოხსნადი ინდივიდუალური დაცვის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ მინიმუმამდე იყოს შემცირებული მისი მოხსნისა და მორგების დრო.

2. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება აღჭურვილია მაფიქსირებელი სისტემით, რომელიც ხელს უწყობს გამოყენებისას მის სწორ პოზიციაში შენარჩუნებას ან მის მოხსნას, ამგვარი სისტემა სწრაფი და ადვილი გამოყენების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

მუხლი 14. ძალზედ საშიშ პირობებში გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

1. მწარმოებლის მიერ წარდგენილი ძალზედ საშიშ პირობებში გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების ინსტრუქცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სათანადოდ კომპეტენტური პირებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის ინტერპრეტირებასა და მომხმარებლის მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალების უსაფრთხო გამოყენებას. ინსტრუქციები ასევე უნდა აღწერდეს პროცედურებს, რაც საჭირო არის ინდივიდუალური დაცვის საშუალების სწორად მორგებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის.

2. იმ შემთხვევაში თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება აღჭურვილია სასიგნალო სისტემით, რომელიც აქტიურდება სათანადო დაცვის დონის არარსებობის შემთხვევაში, სასიგნალო სისტემა



იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე განთავსებული, რომ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში მომხმარებლის მიერ მოხდეს სიგნალის აღქმა.

მუხლი 15. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც შეიცავს მომხმარებლის მიერ მოხსნად და რეგულირებად ნაწილებს

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიცავს ნაწილებს, რომელთა დამაგრება, მოხსნა ან მორგება მომხმარებელს მათი შეცვლის მიზნით შეუძლია, ამ შემთხვევაში ნაწილები იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ დამატებითი ინსტრუმენტების გარეშე შესაძლებელი იყოს ადვილად მოხსნა, დამაგრება და მორგება.

მუხლი 16. გარე დამხმარე ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დაკავშირებისთვის გამიზნული ინდივიდუალური დაცვის საშუალება

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებას გააჩნია სხვა დამხმარე ინდივიდუალური დაცვის საშუალებასთან დამაკავშირებელი სისტემა, კავშირის საშუალებები იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წამორმოებული, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაკავშირება შეიძლებოდეს მხოლოდ სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებასთან.

მუხლი 17. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც მოიცავს სითხის ცირკულირების სისტემას

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება მოიცავს სითხის ცირკულირების სისტემას, აღნიშნული სისტემა იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, დაპროექტებული და განთავსებული, რომ წინასწარ განჭვრეტადი მოხმარების პირობებში იძლეოდეს სითხის განახლების შესაძლებლობას დასაცავი სხეულის მთლიანი ზედაპირის გასწვრივ, მომხმარებლის სხეულის პოზისა და მოძრაობის მიუხედავად.

მუხლი 18. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელზეც გამოსახულია ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი

1. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებას გააჩნია ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, მათი დატანა შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს პიქტოგრამების ან შესაბამისი სიმბოლოების სახით. ასეთი ნიშნები გარჩევადი და მკაფიო უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების წინასწარ განსაზღვრული ექსპლუატაციის სრული ვადის განმავლობაში. აღნიშნული ასევე უნდა იყოს სრული, ზუსტი და დეტალური, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი არასწორი ინტერპრეტირება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნიშანდებები შეიცავს სიტყვებს ან წინადადებებს, მათი დატანა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე მისი ფიზიკური ზომის გამო შეუძლებელია ყველა ან ზოგიერთი ნიშნის დატანა, შესაბამისი ინფორმაცია მითითებულ უნდა იქნეს შეფუთვასა და მწარმოებლის მიერ შედგენილ ინსტრუქციებში.

მუხლი 19. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელსაც შეუძლია მომხმარებლის მდებარეობის შესახებ ვიზუალური სიგნალის გაცემა

ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელსაც შეუძლია მომხმარებლის მდებარეობის შესახებ ვიზუალური სიგნალის გაცემა, უნდა გააჩნდეს ერთი ან მეტი გონივრულ პოზიციაზე განთავსებული მოწყობილობა, რომელსაც შეეძლება გამოსცეს შესაბამისი ინტენსიობის, ფოტომეტრული ან კოლორიმეტრული ნათების თვისებების მქონე ხილვადი გამოსხივება.

მუხლი 20. მრავალ რისკთან დაკავშირებული ინდივიდუალური დაცვის საშუალება

ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც გამიზნულია რამდენიმე ერთობლივი რისკისგან მომხმარებლის დასაცავად, იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ თითოეულ რისკთან მიმართებით აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.



დამატებითი მოთხოვნები სპეციფიკური რისკებისთვის

მუხლი 21. მექანიკური ზემოქმედებისაგან დაცვა

1. საგნების ვარდნით, გატყორცნით და სხეულის დაბრკოლებებთან შეჯახებით გამოწვეული ზემოქმედებისგან დაცვის ფუნქციის მქონე ინდივიდუალური დაცვის საშუალებას უნდა გააჩნდეს საკმარისი შოკის შთანთქმელი თვისებები, დაცული ადგილების დაჯახებით ან შერჭობით გამოწვეული ზიანის ასაცილებლად. აღნიშნული თვისებები უნდა უზრუნველყოფდნენ დაცვას სულ მცირე შეჯახების ენერჯის იმ დონემდე, რომლის მიღმაც ინდივიდუალური დაცვის საშუალება დამცველი შრის გადამეტებული ზომა ან მასა დაბრკოლებას შეუქმნის წინასწარ განსაზღვრული მოხმარების პერიოდში ინდივიდუალური დაცვის საშუალების ეფექტურ გამოყენებას.

2. დაცურების საწინააღმდეგო დამცავი ფეხსაცმლის ძირი იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული, წარმოებული ან დამატებითი საშუალებებით აღჭურვილი, რომ გადაადგილების ზედაპირის პირობების და მდგომარეობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფდეს ადეკვატურ მოჭიდებას.

3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია სიმაღლიდან ვარდნის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგებისგან დასაცავად, უნდა გააჩნდეს სხეულის დამჭერი და შესაბამისი ჩაბმის სისტემა, რომელიც უნდა მაგრდებოდეს საიმედო გარე საყრდენზე. ასეთი ინდივიდუალური დაცვის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში მინიმუმამდე იქნეს შემცირებული მომხმარებლის ვერტიკალური ვარდნა დაბრკოლებებთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად ისე, რომ დამუხრუჭების ძალამ არ მიაღწიოს ზღვრულ მნიშვნელობას, რომლის დროსაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ფიზიკური დაზიანება ან ინდივიდუალური დაცვის საშუალების რომელიმე კომპონენტის შეხსნა ან რღვევა/გატეხვა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მომხმარებლის ჩამოვარდნა. რღვევის/გატეხვის შემთხვევაში ინდივიდუალური დაცვის საშუალებას უნდა შეეძლოს მომხმარებლის ისეთ პოზიციაში გაჩერება, რა დროსაც მომხმარებელს შეეძლება დახმარებისთვის დალოდება.

4. მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) საიმედო გარე ჩასაბმელი საყრდენი წერტილის მახასიათებლები და მინიმალური მანძილი მომხმარებელსა და მის ქვემოთ არსებულ ზედაპირს შორის;

ბ) სხეულზე დამჭერი მოწყობილობის მორგებისა და საიმედო გარე საყრდენ წერტილთან ჩასაბმელი სისტემის მიმაგრების მოთხოვნები.

5. მექანიკური ვიბრაციის ეფექტებისგან დაცვისთვის განკუთვნილ ინდივიდუალური დაცვის საშუალებას უნდა გააჩნდეს რისკის ქვეშ მყოფი სხეულის ნაწილებზე საზიანო ვიბრაციის მქონე კომპონენტების ზემოქმედების ადეკვატური განეიტრალების შესაძლებლობა.

მუხლი 22. სხეულის ნაწილების სტატიკური შეკუმშვისგან დაცვა

ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია სხეულის ნაწილების სტატიკური შეკუმშვისგან დასაცავად, სერიოზული რისკებისა და დაზიანებების თავიდან ასარიდებლად უნდა შეეძლოს შეკუმშვისგან გამოწვეული ზემოქმედების განეიტრალება.

მუხლი 23. მექანიკური დაზიანებისგან დაცვა

ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელი მასალა და სხვა კომპონენტები, რომლებიც განკუთვნილია მთლიანი სხეულის ან მისი ნაწილის ზედაპირული დაზიანებებისგან, მათ შორის ჭრილობების, გახვრეტის, ნაკბენებისა და გადაქერცვისგან, დასაცავად, შერჩეული, დაპროექტებული და ინკორპორირებული უნდა იყოს იმგვარად, რომ წინასწარ განჭვრეტად პირობებში გამოყენებისას, არ იყოს შესაძლებელი მისი ადვილად გადაქერცვა, გახვრეტა ან გაჭრა.



მუხლი 24. სითხეებისაგან დაცვა

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია დახრჩობისგან დასაცავად, უნდა უზრუნველყოფდეს წყალში ჩავარდნილი გადაღლილი ან უგონოდ მყოფი მომხმარებლის ზედაპირზე რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებას, შესაძლებელს უნდა ხდიდეს ზედაპირზე მის ტივტივსა და თავისუფალ სუნთქვას.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალება შესაძლოა ნაწილობრივ ან სრულად ტივტივებდეს, ან შესაძლებელი იყოს მისი პირით გაბერვა და ჰაერის მექანიკურად ან ავტომატურად გამოშვება.

3. წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, მისთვის დადგენილი ფუნქციის შესრულებასთან ერთად, უნდა უძლებდეს წყლისა და შესაბამისი გარემო ფაქტორების ზემოქმედებას;

ბ) გასაბერი ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა იბერებოდეს სრულად და სწრაფად.

4. წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდგომ მოთხოვნებს:

ა) უნდა ჰქონდეს მეორე პუნქტით გათვალისწინებული გასაბერი ან/და სინათლის ან სასიგნალო მოწყობილობა;

ბ) უნდა გააჩნდეს სხეულთან მისაბმელი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის ამოყვანას სითხიდან;

გ) უნდა იყოს ხანგრძლივი გამოყენებისთვის შესაფერისი მომხმარებლის იმ აქტივობის სრული პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც მომხმარებელი შესაძლოა ჩაცმულ მდგომარეობაში ჩავარდეს წყალში ან რომლის დროსაც საჭიროა მომხმარებლის ჩადირვა სითხეში.

5. ტანსაცმელი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის ტივტივის უზრუნველსაყოფად, მისი წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის საყრდენს და ტარებისას უნდა იყოს უსაფრთხო. ინდივიდუალური დაცვის საშუალება არ უნდა აბრკოლებდეს მომხმარებლის თავისუფალ მოძრაობას, იძლეოდეს ცურვისა და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას მომხმარებლის მიერ საკუთარი თავისა და სხვა პირების გადარჩენის მიზნით.

მუხლი 25. ხმაურის საზიანო ზემოქმედებისგან დაცვა

ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია ხმაურით გამოწვეული ზიანისგან დასაცავად, უნდა შეეძლოს საზიანო ხმაურის ეფექტის განეიტრალება იმგვარად, რომ მომხმარებელზე ხმაურის მავნე ზემოქმედებამ არ გადააჭარბოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თითოეულ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე დატანილ უნდა იქნეს ნიშანდება, რომელზეც ასახული იქნება ხმის განეიტრალების დონე. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნიშანდება დატანილი უნდა იქნეს შეფუთვაზე.

მუხლი 26. სიცხისგან ან/და ხანძრისგან დაცვა

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია მთლიანი სხეულის ან მისი ნაწილის სიცხის ან/და ხანძრის ზემოქმედებისგან დასაცავად, უნდა გააჩნდეს გამოყენების წინასწარ განჭვრეტადი გარემოს შესაბამისი თერმული იზოლაციის უნარი და მექანიკური სიმტკიცე.

2. წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში მოხმარებისას, სპონტანური აალებით გამოწვეული რისკების თავიდან ასარიდებლად, სხივური ან კონვექციური სიცხისგან დასაცავად განკუთვნილი შემადგენელი მასალა და სხვა კომპონენტები არ უნდა იყოს აალებადი და უნდა გააჩნდეს გამოყოფილი სითბური ნაკადის გადაცემის სათანადო კოეფიციენტი. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოხსენებული მასალის გარე ზედაპირს საჭიროა ჰქონდეს არეკვლვის უნარი, არეკვლევა უნდა შეესაბამებოდეს სიცხის ნაკადის ინტენსიურობას ინფრაწითელ დიაპაზონში გამოსხივებისას.



3. მაღალ ტემპერატურულ გარემოში ხანმოკლე გამოყენებისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალების, ან ამ ინდივიდუალური დაცვის საშუალების მასალას და სხვა კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ცხელი მასალების შეშხეფებას, როგორცაა მდნარი მასალები, უნდა გააჩნდეს საკმარისი თერმული მახასიათებლები, რათა შესაძლებელი იყოს დაგროვებული სიცხის უდიდესი ნაწილის შეკავება მომხმარებლის მიერ სამიში გარემოს დატოვებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოხსნამდე.

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალების მასალას და სხვა კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ცხელი მასალების შეშხეფებას, უნდა გააჩნდეს მექანიკური ზემოქმედების შთანთქმის საკმარისი უნარი (იხ. ამ დანართის 21-ე მუხლი).

5. ინდივიდუალური დაცვის საშუალების მასალა და სხვა კომპონენტები, რომლებიც შესაძლოა შემთხვევით მოვიდეს შეხებაში ალთან, ასევე ინდუსტრიულ და ხანძართან ბრძოლის ინდივიდუალური დაცვის საშუალებაში გამოყენებული მასალა და სხვა კომპონენტები უნდა იყოს არააალებადი და გააჩნდეს რკალური და თერმული სიცხისგან დაცვის უნარი, რომელიც შეესაბამება წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებთან დაკავშირებული რისკის კლასებს. აღნიშნული მასალები არ უნდა დნებოდეს და ალის გაჩენას არ უნდა უწყობდეს ხელს.

6. წინასწარ განჭვრეტად გამოყენების პირობებში:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოხმარებისას მომხმარებელზე გადაცემული სითბოს დონე ნებისმიერ პირობებში უნდა იყოს საკმარისად დაბალი, რათა გამორიცხულ იქნეს რისკის ქვეშ მყოფი სხეულის ნაწილებზე სიცხის დაგროვება ისე, რომ არ იქნეს გადაჭარბებული ტკივილისა და ჯანმრთელობის დაზიანების დასაშვები ზღვარი;

ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება სითხისა და ორთქლის შეღწევისგან დაცული უნდა იყოს და დამცავი ზედაპირის სხეულთან შეხება არ უნდა იწვევდეს დამწვრობას.

7. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიცავს გასაგრძელებელ მოწყობილობას სითხის აორთქლების ან მყარი მასალის აირად მდგომარეობაში გადასვლისთვის, ამგვარი მოწყობილობა ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ გამოყოფილი ნივთიერებები არ იყოს მიმართული მომხმარებლისკენ და გამოიყოფოდეს გარე დამცავი ზედაპირის მიმართულებით.

8. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიცავს სასუნთქ მოწყობილობას, აღნიშნული მოწყობილობა წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში ადეკვატურად უნდა ასრულებდეს მასზე დაკისრებულ დამცავ ფუნქციას.

9. მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქცია, რომელიც თან ახლავს ინდივიდუალური დაცვის საშუალებას და განკუთვნილია მომხმარებლის მიერ მაღალ ტემპერატურულ გარემოში ხანმოკლე გამოყენებისთვის, უნდა შეიცავდეს დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, აღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ გამოყოფილი სითბოს მომხმარებელზე ზემოქმედების მაქსიმალურად დასაშვები დონის განსასაზღვრად საჭირო ყველა შესაბამის მონაცემს.

მუხლი 27. სიცვიისგან დაცვისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც დაპროექტებულია ადამიანის სხეულის ან მისი ნაწილის სიცვიის უარყოფითი შედეგებისგან დასაცავად, აღჭურვილი უნდა იყოს თერმული იზოლაციის საშუალებებით და გააჩნდეს წინასწარ განჭვრეტად პირობებში გამოყენებისთვის ადეკვატური მექანიკური სიმტკიცე.

2. სიცვიისგან დასაცავად განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელ მასალასა და სხვა კომპონენტებს უნდა გააჩნდეს გამოყოფილი სითბური ნაკადის გადაცემის ისეთი დაბალი კოეფიციენტი, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების წინასწარ განჭვრეტად პირობებს. დაბალი ტემპერატურის გარემოში გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების დრეკადი მასალა და სხვა კომპონენტები უნდა ინარჩუნებდნენ მოსახერხებელი გამოყენებისთვის საჭირო დრეკადობას.



3. ინდივიდუალური დაცვის საშუალების მასალასა და სხვა კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ცივი მასალების შემხეფებას, ასევე უნდა გააჩნდეს მექანიკური ზემოქმედების შთანთქმის საკმარისი უნარი (იხ. ამ დანართის 21-ე მუხლი).

4. წინასწარ განჭვრეტად გამოყენების პირობებში:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოხმარებისას მომხმარებელზე გადაცემული ნაკადი ნებისმიერ პირობებში უნდა იყოს საკმარისად დაბალი, რათა გამორიცხულ იქნეს სხეულის დაცულ ნაწილებზე სიცივის დაგროვება, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში ფეხებისა და ხელების თითებზე ისე, რომ არ იქნეს გადაჭარბებული ტკივილისა და ჯანმრთელობის დაზიანების დასაშვები ზღვარი;

ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამორიცხავდეს ისეთი სითხეების შეღწევა, როგორცაა წვიმის წყალი, ხოლო მისი ცივი დამცავი შრე სხეულთან შეხებისას არ უნდა იწვევდეს მომხმარებლის დაზიანებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიცავს სასუნთქ მოწყობილობას, აღნიშნული მოწყობილობა წინასწარ განჭვრეტად გამოყენების პირობებში ადეკვატურად უნდა ასრულებდეს მისთვის დაკისრებულ დამცავ ფუნქციას.

6. მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქცია, რომელიც თან ახლავს ინდივიდუალური დაცვის საშუალებას და განკუთვნილია მომხმარებლის მიერ დაბალ ტემპერატურულ გარემოში ხანმოკლე გამოყენებისთვის, უნდა შეიცავდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ გამოყოფილი სიცივის მომხმარებელზე ზემოქმედების მაქსიმალურად დასაშვები დონის განსასაზღვრად საჭირო ყველა შესაბამის მონაცემს.

მუხლი 28. ელექტრული შოკისგან დაცვისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია სხეულის ან მისი ნაწილის ელექტრული ძაბვის ზემოქმედებისგან დასაცავად, უნდა გააჩნდეს მომხმარებელზე ელექტრობის სავარაუდო ზემოქმედებისგან დაცვისთვის საკმარისი იზოლაცია და ითვალისწინებდეს მათ შორის ყველაზე არასასურველ წინასწარ განჭვრეტად პირობებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელი კომპონენტები და მასალა იმგვარად უნდა იყოს არჩეული, დაპროექტებული და გამოყენებული, რომ ნებისმიერ პირობებში უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამცავ ზედაპირში გაჟონილი ელექტრობის მინიმუმზაციას ელექტრობის ტოლერანტობის ბარიერის შესაბამის მაქსიმალურად დასაშვებ მაჩვენებლებამდე, რომელიც გაიზომება ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამცავი შრისთვის იმ ვოლტაჟის პირობებში, რომელმაც შესაძლოა თავი იჩინოს მისთვის წინასწარ განჭვრეტად სამუშაო გარემოში.

3. ელექტრომოწყობილობებთან დაკავშირებულ საქმიანობებში გამოსაყენებელ ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტიპებზე, რომლებიც შესაძლოა მოექცნენ ელექტრული ძაბვის ქვეშ, შეფუთვაზე დატანილ უნდა იქნეს ნიშანდება, რომელზეც აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი დაცვის დონე, საოპერაციო ვოლტაჟი, სერიული ნომერი და წარმოების თარიღი. ამგვარი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარე დამცავ შრეზე დატოვებულ უნდა იქნეს თავისუფალი სივრცე, რომელზეც დაიტანება ექსპლუატაციაში მიღების თარიღი და შესაბამისი შემოწმებების ან ინსპექტირებების განხორციელების პერიოდის აღმწერი ინფორმაცია.

4. მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქციები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტიპისთვის განსაზღვრული დანიშნულების და ექსპლუატაციის პერიოდში განსახორციელებელი შემოწმებების ხასიათისა და სიხშირის შესახებ.

5. ელექტრობის გამტარი ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია მაღალი ძაბვის ქვეშ მუშაობისთვის, იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და წარმოებული, რომ მომხმარებელსა და მოწყობილობას შორის არ წარმოიქმნას განსხვავება ელექტრულ პოტენციალებს შორის.



მუხლი 29. რადიაციისაგან დაცვა

1. მოთხოვნები არამაიონებელი გამოსხივებისგან დასაცავად:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია არამაიონებელი გამოსხივების წყაროებისგან თვალის მწვავე ან ქრონიკული დაზიანებისგან დასაცავად, უნდა შეეძლოს საზიანო ტალღის მქონე ენერჯის გამოსხივების უმეტესი ნაწილის შთანთქმა ან არეკვლა, ისე რომ უარყოფითად არ იმოქმედოს გამოსხივების ხილვადი სპექტრის უსაფრთხო ნაწილზე, კონტრასტის აღქმასა და ფერთა გარჩევადობაზე;

ბ) თვალის დამცავ ინდივიდუალური დაცვის საშუალებას მავნე გამოსხივების თითოეული ტალღისთვის უნდა გააჩნდეს ისეთი სპექტრული გადაცემის ფაქტორი, რომ გამოსხივების ენერჯის ნათების ინტენსიობა, რომელსაც შეუძლია ფილტრის გავლით მიაღწიოს მომხმარებლის თვალებამდე, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და არ უნდა აჭარბებდეს გამოსხივების ზემოქმედების მაქსიმალურად დასაშვებ ნორმას. ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, რომელიც განკუთვნილია არამაიონებელი გამოსხივებისგან კანის დასაცავად, უნდა შეეძლოს საზიანო გამოსხივების ტალღის მქონე ენერჯის უდიდესი ნაწილის შთანთქმა ან არეკვლა.

გ) წინასწარ განჭვრეტად გამოყენების პირობებში, გამოსხივების ზემოქმედებით სათვალე არ უნდა დაზიანდეს და არ უნდა დაკარგოს დამცავი თვისებები. ყველა ეგზემპლარზე დატანილი უნდა იყოს დამცავი ფაქტორის ნომერი, რომელიც შეესაბამება მის სხივის გამტარუნარიანობის სპექტრული განაწილების მრუდს.

დ) გამოსხივების წყაროსთან მუშაობისთვის განკუთვნილი ერთი და იმავე ტიპის სათვალეების კლასიფიცირება უნდა განხორციელდეს დამცავი ფაქტორების მიხედვით აღმავალი თანმიმდევრობით. მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალების შერჩევის მეთოდს შესაბამისი სამუშაო პირობების გათვალისწინებით, მათ შორის გამოსხივების წყარომდე დისტანციისა და აღნიშნულ დისტანციაზე ენერჯის გამოსხივების სპექტრულ განაწილების მონაცემებს.

ე) თვალის დაცვის გამფილტრავი ინდივიდუალური დაცვის საშუალების ყველა ეგზემპლარზე მწარმოებლის მიერ დატანილ უნდა იქნეს შესაბამისი დაცვის ფაქტორის ნომერი.

2. მოთხოვნები მაიონებელი გამოსხივებისაგან დასაცავად:

ა) რადიოაქტიური მტვერის, აირების, სითხისა და მათი ნაზავებისგან სხეულის ან მისი ნაწილის დაცვის მიზნით დაპროექტებული ინდივიდუალური დაცვის საშუალება, მისი შემადგენელი მასალები და სხვა კომპონენტები იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, დაპროექტებული და გამოყენებული, რომ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში დამაბინძურებელი ნაერთები ვერ აღწევდეს მომხმარებლის სხეულის დაცულ ნაწილებამდე.

ბ) დამაბინძურებელი ნაერთების ბუნებიდან გამომდინარე აუცილებელი ჰერმეტიკობა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეუღწევადი დამცავი შრის ან/და სხვა საშუალებით, მათ შორის ვენტილაციისა და წნევის სისტემებით, რომლებიც უზრუნველყოფს დამაბინძურებლების გაფანტვას.

გ) ნებისმიერი დეკონტამინაციის ღონისძიებები, რომელიც ექვემდებარება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას, უნდა იძლეოდეს მათ განმეორებით/ხელახლა გამოყენების საშუალებას, მწარმოებლის მიერ დადგენილი ექსპლუატაციის ვადის ფარგლებში..

დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებლის გარეგანი დასხივებისაგან სრულად დასაცავად ან გამოსხივების შესუსტების მიზნით, უნდა იყოს დაპროექტებული და გათვლილი მხოლოდ სუსტი ელექტრონული (მაგ: ბეტა-გამოსხივება) ან სუსტი ფოტონური (მაგ: რენტგენის სხივები, გამა-გამოსხივება) გამოსხივების საწინააღმდეგოდ.

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელი მასალა და სხვა კომპონენტები იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული, წარმოებული და



გამოყენებული, რომ უზრუნველყოფდეს წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებისთვის მომხმარებლის შესაფერის დაცვას და მისი მოქმედების დაბრკოლების გზით არ ზრდიდეს გამოხსივების წყაროსთან ყოფნის ხანგრძლივობას (იხ. ამ დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

ვ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დატანილ უნდა იქნეს წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში შესაფერისი შემადგენელი მასალის ტიპისა და სისქის შესახებ მითითებები.

მუხლი 30. ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების, ნაზავებისა და საზიანო ბიოლოგიური აგენტებისგან დაცვა

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის სასუნთქი სისტემის დასაცავად, დაბინძურებული ატმოსფეროს ან არასაკმარისი ჟანგბადის კონცენტრაციის მქონე გარემოს პირობებში უნდა უზრუნველყოფდეს სუფთა ჰაერის მიწოდებას.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ მომხმარებლისთვის სასუნთქი ჰაერის მიწოდება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაბამისი საშუალებებით, მაგალითად, ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ დაბინძურებული ჰაერის ფილტრაციის ან გარე არადაბინძურებული ჰაერის წყაროს უზრუნველყოფის გზით.

3. ასეთი ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელი მასალა და სხვა კომპონენტები იმგვარად უნდა იყოს შერჩეული ან დაპროექტებული და გამოყენებული, რომ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში შესაბამის პერიოდში უზრუნველყოფდეს მომხმარებლის სათანადო სუნთქვას და სასუნთქი გზების ჰიგიენას.

4. სახის დამცავი საშუალების ჰერმეტიულობა, სუნთქვისას წნევის ვარდნა, ხოლო ფილტრაციის მოწყობილობის შემთხვევაში ჰაერის გაწმენდის ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოფდეს დაბინძურებული გარემოდან მავნე ნივთიერებების შეღწევის საკმარისად დაბალ დონეს, რათა საფრთხე არ შეექმნას მომხმარებლის ჯანმრთელობასა და ჰიგიენას.

5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დატანილ უნდა იქნეს მონაცემები სპეციფიკური მახასიათებლების შესახებ, რომელიც მომხმარებლისთვის შესაძლებელს გახდის ინდივიდუალური დაცვის საშუალების სათანადოდ გამოყენებას.

6. გამფილტრავი მოწყობილობის შემთხვევაში, მწარმოებლის ინსტრუქციები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ახალი ფილტრების ორიგინალ შეფუთვაში შენახვის ვადების შესახებ.

7. მოთხოვნები კანსა და თვალებთან კონტაქტისაგან დაცვის მიმართ:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია სხეულის ან მისი ნაწილის ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთიერებებთან, ნაზავებთან და მავნე ბიოლოგიურ აგენტებთან შეხებისგან დასაცავად, წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში მოხმარებისას უნდა გამორიცხავდეს აღნიშნული ნივთიერებების, ნაზავებისა და აგენტების დამცავ შრეში შეღწევას.

ბ) ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემადგენელი მასალა და სხვა კომპონენტები იმგვარად უნდა იყოს არჩეული, დაპროექტებული და წარმოებული, რომ შეეძლოს განგრძობითი ყოველდღიური გამოყენებისას სრული ჰერმეტიულობის შენარჩუნება, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა ინარჩუნებდეს შეზღუდულ ჰერმეტიულობას სათანადოდ შეზღუდული გამოყენების პერიოდში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ გარკვეულ ნივთიერებებს, ნაზავებსა და მავნე ბიოლოგიურ აგენტებს გააჩნია მაღალი შეღწევის ძალა, რომელიც წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში ამცირებს ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ უზრუნველყოფილ დაცვის ხანგრძლივობას, ეს უკანასკნელი უნდა დაექვემდებაროს სტანდარტულ შემოწმებას ფუნქციონირების კლასის განსაზღვრის თვალსაზრისით. ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე დატანილი უნდა იქნეს ნიშანდება, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: შემოწმებისას გამოყენებული ნივთიერების სახელს, ხოლო სახელის არ არსებობის შემთხვევაში შესაბამის კოდს და



ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ შესაბამისი ნივთიერების ზემოქმედებისგან დაცვის პერიოდს. აუცილებლობის შემთხვევაში მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქციები უნდა შეიცავდეს ზემოთ აღნიშნული კოდების აღწერას, სტანდარტული შემოწმების დეტალურ აღწერასა და სხვადასხვა წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში, გამოყენების მაქსიმალურად დასაშვები პერიოდის განსაზღვრისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას.

მუხლი 31. საყვინთი ინდივიდუალური დაცვის საშუალება

1. სასუნთქი ინდივიდუალური დაცვის საშუალება წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობებში ჩადირვის მაქსიმალური სიღრმის გათვალისწინებით შესაძლებელს უნდა ხდიდეს სასუნთქი აირადი ნაზავების მომხმარებლისთვის მიწოდებას.

2. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ განჭვრეტადი გამოყენების პირობები მოითხოვს, საყვინთი ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან:

ა) საყვინთი ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც დაიცავს მომხმარებელს სიცივის ან/და სიღრმეში ჩაყვინთვისას წარმოქმნილი წნევისგან (იხ. ამ დანართის 22-ე მუხლი);

ბ) სასიგნალო მოწყობილობა, რომელიც მომხმარებელს დროულად გააფრთხილებს სასუნთქი აირადი ნაზავის მიწოდებაში მოსალოდნელი დაბრკოლების შესახებ (იხ. ამ დანართის მე-14 მუხლი);

გ) ზედაპირზე ამოსასვლელი სამაშველო მოწყობილობა (იხ. ამ დანართის 24-ე მუხლის პირველი-მეოთხე პუნქტები).

III დანართი

ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლითა და II დანართით განსაზღვრული შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მწარმოებლის მიერ გამოყენებული საშუალებების აღწერას.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალების სრული აღწერა და მისი დანიშნულება;

ბ) იმ რისკების შეფასება, რომელთა ზემოქმედებისგან დაცვისთვისაც ინდივიდუალური დაცვის საშუალება არის გამიზნული;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების ჩამონათვალი;

დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალების, მისი კომპონენტების, საამწყობრო ნაწილებისა და წრედების პროექტირების და წარმოების ნახაზები და სქემები;

ე) ამ მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული ნახაზებისა და სქემების გასაგებად აუცილებელი აღწერები და განმარტებები;

ვ) მითითება იმ სტანდარტებზე, რომლებიც გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაპროექტებისა და წარმოების დროს. სტანდარტების ნაწილობრივ გამოყენების შემთხვევაში დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გამოყენებული ნაწილების შესახებ მითითებებს;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტები არ იქნა ან ნაწილობრივ იქნა გამოყენებული, შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების აღწერა;

თ) დაპროექტებისას გამოყენებული კალკულაციების შედეგები, შესაბამისი ჯანმრთელობისა და



უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების დადასტურებისთვის განხორციელებული შემოწმებებისა და ინსპექტირებების შესახებ ინფორმაცია;

ი) ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების დადასტურებისა და შესაბამის შემთხვევებში დაცვის კლასის განსაზღვრის მიზნით განხორციელებული შემოწმებების ანგარიშები;

კ) დაპროექტების სპეციფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის მწარმოებლის მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალების წარმოებისას გამოყენებული საშუალებების აღწერა;

ლ) II დანართის მე-6 მუხლი გათვალისწინებული მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქციებისა და ინფორმაციის ასლები;

მ) კონკრეტული მომხმარებლის მიერ გამოყენების მიზნით ერთ ერთეულად წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამტკიცებული საბაზისო მოდელის საფუძველზე წარმოებისთვის ყველა აუცილებელი ინსტრუქცია;

ნ) სერიულად წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების წარმოების შემთხვევაში მწარმოებლის მიერ გამოყენებული ღონისძიებების აღწერა.

IV დანართი

შიდა საწარმოო კონტროლი

(მოდული A)

1. შიდა საწარმოო კონტროლი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ დანართის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას მასზე, რომ განხილული ინდივიდუალური დაცვის საშუალება აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მწარმოებელმა უნდა შეიმუშაოს III დანართით განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაცია.

3. მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა საწარმოო პროცესისა და პროცესის მონიტორინგის დროს უზრუნველყოფილ იქნეს წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობა ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან

4. მწარმოებელმა ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე უნდა დაიტანოს ნიშანდება.

ა) მწარმოებელი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოდელისთვის წერილობით შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია და ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად შეინახოს იგი ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად ინდივიდუალური დაცვის საშუალების ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომლისთვისაც შედგენილია აღნიშნული დეკლარაცია.

ბ) შესაბამისობის დეკლარაციის ასლი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა მიეწოდოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს.

5. ამ დანართის მე-4 პუნქტით მწარმოებლისთვის დადგენილი ვალდებულებები, მის მაგივრად და მისივე პასუხისმგებლობის ქვეშ, შესაძლოა შესრულდეს მისი ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ თუ ეს ცალსახად გათვალისწინებულია აღნიშნული წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელ დოკუმენტში.

V დანართი

ტიპის გამოცდა



(მოდული B)

მუხლი 1. ზოგადი პრინციპები

1. ტიპის გამოცდა წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლითაც შესაბამისობის შემფასებელი პირი ამოწმებს ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტექნიკურ მახასიათებლებს, ადგენს და ადასტურებს, რომ პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. ტიპის გამოცდა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობის შეფასებით, ტექნიკური დოკუმენტაციის შემოწმების გზით, ამასთანავე უნდა გამოიცადოს დასრულებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების (საწარმოო ტიპი) წარმოების ფარგლებში შერჩეული წარმომადგენლობითი ნიმუში.

მუხლი 2. განაცხადი ტიპის გამოცდაზე

1. მწარმოებელმა ტიპის შესაბამისობის შეფასებისათვის განაცხადით უნდა მიმართოს ერთ-ერთ შესაბამისობის შემფასებელ პირს.
2. ტიპის გამოცდის განაცხადის ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგს:
 - ა) მწარმოებლის სახელი და მისამართი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ განაცხადი გაკეთებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ამ უკანასკნელის სახელი და მისამართი;
 - ბ) წერილობითი დადასტურება, რომ იგივე განაცხადი არ გაკეთებულა სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირის მიმართ;
 - გ) III დანართით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია;
 - დ) წარმოებული პროდუქტების წარმომადგენლობით ნიმუში ან ნიმუშები. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისობის შემფასებელმა პირმა შესაძლოა მოითხოვოს სხვა ნიმუშებიც. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება წარმოებულ იქნა სერიულად და თითოეული ეგზემპლარი გათვლილია ინდივიდუალურ მომხმარებელზე მოსარგებად, წარმოდგენილ უნდა იქნეს სხვადასხვა მომხმარებლებისთვის წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების წარმომადგენლობითი ნიმუშები. ინდივიდუალური მომხმარებლის სპეციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ერთ ერთეულად წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულის საბაზისო მოდელი.

მუხლი 3. ტიპის გამოცდა

შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია:

- ა) ტექნიკური აგებულების ადეკვატურობის შეფასებისთვის შეამოწმოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტექნიკური დოკუმენტაცია. შემოწმების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს III დანართი;
- ბ) შეაფასოს გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება წარმოებულ იქნა სერიულად და თითოეული ეგზემპლარი გათვლილია ინდივიდუალურ მომხმარებელზე მოსარგებად;
- გ) ინდივიდუალურ მომხმარებელზე მოსარგებად, ერთ ერთეულად წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემთხვევაში შეამოწმოს ამგვარი ინდივიდუალური დაცვის საშუალების, დამტკიცებული საბაზისო მოდელის საფუძველზე წარმოების ინსტრუქციები;
- დ) დაადასტუროს, რომ ნიმუში ან ნიმუშები წარმოებულ იქნა ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, და მოახდინოს შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებული სათანადო მოთხოვნების



დაცვით დაპროექტებული და ასევე სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად დაპროექტებული ელემენტების იდენტიფიკაცია;

ე) განახორციელოს ან უზრუნველყოს შესაბამისი გამოცდები და შემოწმებები, რათა დადგინდეს, რამდენად სწორად იქნა გამოყენებული სტანდარტი;

ვ) განახორციელოს ან უზრუნველყოს შესაბამისი გამოცდებისა და შემოწმებების ჩატარება, რათა დადგინდეს, სტანდარტის გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, რამდენად სწორად აარჩია და გამოიყენა მწარმოებელმა საკუთარი ან სხვა ტექნიკური სპეციფიკაციებით გათვალისწინებული მეთოდები.

მუხლი 4. შეფასების ანგარიში

შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შეადგინოს შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ამ დანართის მე-3 მუხლის თანახმად მის მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებასა და მათ შედეგებს. შესაბამისობის შემფასებელი პირი განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულია მწარმოებელთან შეთანხმების საფუძველზე მთლიანად ან ნაწილობრივ გამოაქვეყნოს ზემოთ ხსენებული ანგარიში.

მუხლი 5. ტიპის გამოცდის სერტიფიკატი

1. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის ტიპი აკმაყოფილებს შესაბამის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია, მწარმოებელს გადასცეს ტიპის გამოცდის სერტიფიკატი. ახლად შედგენილი და შესაბამის შემთხვევებში განახლებული სერტიფიკატის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

2. ტიპის გამოცდის სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) შესაბამისობის შემფასებელი პირის სახელსა და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) მწარმოებლის სახელს და მისამართს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შევსებულ იქნა ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ, ამ უკანასკნელის სახელსა და მისამართს;

გ) სერტიფიკატით დაფარული ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტიპის ნომერს;

დ) განაცხადს, სადაც მითითებული იქნება, რომ აღნიშნული ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალება აკმაყოფილებს შესაბამის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს;

ე) როდესაც სრულად ან ნაწილობრივ გამოყენებულია სტანდარტები, აღნიშნული სტანდარტების შესახებ ან მათი ნაწილების შესახებ მითითებებს;

ვ) გამოყენებულ ტექნიკურ სპეციფიკაციებზე მითითებებს;

ზ) შესაბამის შემთხვევებში, ინდივიდუალური დაცვის საშუალების ფუნქციონირების დონეებსა და დაცვის კლასების აღწერას;

თ) ერთ ეგზემპლარად წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შემთხვევაში, რომელიც გათვლილია ინდივიდუალურ მომხმარებელზე მოსარგებად, დამტკიცებული საბაზისო მოდელზე დაყრდნობით შესაბამისი დასაშვები მახასიათებლების აღწერას;

ი) წარმოების თარიღს, მოქმედების ვადას და შესაბამის შემთხვევაში განახლების თარიღ(ებ)ს;

კ) სერტიფიკატის გაცემის ნებისმიერ პირობას;

ლ) III კატეგორიის ინდივიდუალური დაცვის საშუალებისთვის, განაცხადს, რომ სერტიფიკატის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ერთი შესაბამისობის შეფასების პროცედურასთან ერთად.



3. ტიპის გამოცდის სერტიფიკატს შესაძლოა თან ახლდეს ერთი ან რამდენიმე დანართი.

4. იმ შემთხვევაში, თუ ტიპი არ აკმაყოფილებს სათანადო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა არ უნდა გასცეს ტიპის გამოცდის სერტიფიკატი და განმცხადებელს შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ, უარის მიზეზები განუმარტოს დეტალურად.

მუხლი 6. ტიპის გამოცდის სერტიფიკატის გადახედვა

1. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია სისტემატიურად გაეცნოს ტექნოლოგიური სფეროს ცვლილებებს, რომელიც უთითებს, რომ აღიარებული ტიპი შესაძლოა აღარ აკმაყოფილებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სათანადო მოთხოვნებს და ვალდებულია აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით გადაწყვიტოს საჭიროა, თუ არა დამატებითი კვლევა. აღნიშნულის შესახებ შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელს.

2. მწარმოებელი ვალდებულია შესაბამისობის შემფასებელ პირს შეატყობინოს დამტკიცებული ტიპის და ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ სათანადო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე ან აღნიშნული სერტიფიკატის ვალიდურობაზე. ასეთი ცვლილებები საჭიროებს დამტკიცებას და ტიპის გამოცდის სერტიფიკატში ცვლილების შეტანას.

3. მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს ტექნოლოგიური განვითარების არსებული დონის გათვალისწინებით ინდივიდუალური დაცვის საშუალების მიერ სათანადო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

4. მწარმოებელი ვალდებულია შესაბამისობის შემფასებელ პირს სთხოვოს ტიპის გამოცდის სერტიფიკატის გადახედვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დამტკიცებული ტიპის ცვლილებისას;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ტექნოლოგიური განვითარების ცვლილებებისას;

გ) სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემთხვევაში;

5. ტიპის სერტიფიკატის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა და არაუადრეს 12 თვისა, მწარმოებელი ვალდებულია განაცხადით მიმართოს შესაბამისობის შემფასებელ პირს.

6. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია, შეამოწმოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტიპი და აუცილებლობის შემთხვევაში, განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით უზრუნველყოს შესაბამისი შემოწმებების ჩატარება, რათა დარწმუნდეს რომ დამტკიცებული ტიპი კვლავ აკმაყოფილებს მისთვის გათვალისწინებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა ტიპის გამოცდის სერტიფიკატის განახლება. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია, შემოწმების პროცედურა დაასრულოს ტიპის სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს შემოწმების გამარტივებული პროცედურა. მწარმოებელი ვალდებულია შესაბამისობის შემფასებელ პირს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საკუთარი სახელი, მისამართი და განსახილველი ტიპის სერტიფიკატის იდენტიფიცირების მონაცემები, დადასტურება იმისა, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დამტკიცებულ ტიპს, მის შემადგენელ მასალებს, ქვეკომპონენტებსა და შემადგენელ ნაწილებს არ განუცდია ცვლილებები, ასევე არ შეცვლილა გამოყენებული სტანდარტები და სხვა ტექნიკური სპეციფიკაციები;

ბ) დადასტურება, რომ არ შეცვლილა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტექნოლოგიური განვითარების დონე;



გ) პროდუქტის ნახაზები, სურათები, ნიშანდება და მწარმოებლის მიერ შედგენილი სხვა ინფორმაცია;

დ) თუ შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის III კატეგორიის პროდუქტები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, VII დანართის შესაბამისად პროდუქტის ზედამხედველობის ფარგლებში, შემთხვევით შერჩეული ინტერვალებით განხორციელებული შემოწმებების შედეგები, ან VIII დანართის შესაბამისად საკუთარი ხარისხის სისტემის ფარგლებში განხორციელებული აუდიტის შედეგები.

8. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისობის შემფასებელი პირი დაადასტურებს, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დამტკიცებულ ტიპს არ განუცდია ცვლილებები და არ შეცვლილა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტექნოლოგიური განვითარების დონე, გამოყენებულ უნდა იქნეს შემოწმების გამარტივებული პროცედურა და არ უნდა იქნეს გამოყენებული ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდისა და შემოწმების პროცედურები. აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია განახლოს ტიპის გამოცდის სერტიფიკატი.

9. სერტიფიკატის განახლებასთან დაკავშირებული ღირებულება გამარტივებული პროცედურებთან დაკავშირებული ადმინისტრირების ტვირთის პროპორციული უნდა იყოს.

10. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისობის შემფასებელი პირი დაადგენს, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტექნოლოგიური განვითარების დონემ ცვლილებები განიცადა, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა.

11. გადამოწმების შემდგომ, თუ შესაბამისობის შემფასებელი პირი დაადგენს, რომ ტიპის გამოცდის სერტიფიკატს გაუვიდა მოქმედების ვადა, იგი ვალდებულია გააუქმოს მისი მოქმედება, ხოლო მწარმოებელი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალება ბაზარზე არ განათავსოს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს შეატყობინოს მის მიერ გაცემული ან გაუქმებული ტიპის სერტიფიკატისა და მისი შემდგომი ცვლილებების (დანართების) შესახებ, ასევე პერიოდულად ან მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს იმ სერტიფიკატებისა და შესაბამისი ცვლილებების სია, რომელიც არ გაიცა, შეიზღუდა ან სხვამხრივ აიკრძალა მის მიერ.

2. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შეატყობინოს სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს იმ ტიპის სერტიფიკატებისა და შესაბამისი დამატებების შესახებ, რომელიც არ გაიცა, გამოთხოვილ იქნა, მოქმედება შეუჩერდა ან სხვამხრივ აიკრძალა მის მიერ.

3. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შეინახოს ტიპის გამოცდის სერტიფიკატი, მისი დანართები და დამატებები, ასევე ტექნიკური დოკუმენტაცია მათ შორის მწარმოებლის მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია სერტიფიკატის ვადის ამოწურვიდან 5 წლის განმავლობაში.

4. მწარმოებელი ვალდებულია ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად შეინახოს ტიპის გამოცდის სერტიფიკატი, მისი დანართები და დამატებები ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.

5. მწარმოებლის ავტორიზებულ წარმომადგენელს მისი მანდატის ფარგლებში უფლება აქვს წარადგინოს ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული განაცხადი და დააკმაყოფილოს ამ დანართის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებითა და ამ დანართის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დანართი VI

შიდა საწარმოო კონტროლზე დაფუძნებული პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა

(მოდული C)



მუხლი 1. წარმოების შიდა კონტროლზე დამყარებული პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა

წარმოების შიდა კონტროლზე დამყარებული პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ დანართის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

მუხლი 2. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესი და მისი მონიტორინგი უზრუნველყოფდეს წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობას პროდუქტის ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამის მოთხოვნებთან

მუხლი 3. შესაბამისობის დეკლარაცია

1. მწარმოებელი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოდელისთვის შეადგინოს და შეინახოს შესაბამისობის დეკლარაცია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.

2. მოთხოვნის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისობის დეკლარაციის ასლი.

მუხლი 4. ავტორიზებული წარმომადგენელი

ამ დანართის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მწარმოებლის ვალდებულებები შესაძლოა შესრულდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, თუ აღნიშნული განსაზღვრულია სათანადო ხელშეკრულებით.

დანართი VII

პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლსა და შემთხვევითი ინტერვალებით პროდუქტის საკონტროლო შემოწმებაზე

(მოდული C2)

მუხლი 1. პროდუქტის ტიპთან შესაბამისობის დადგენა შიდა საწარმოო კონტროლის და პროდუქტის შემთხვევითი შერჩევის ინტერვალებით შემოწმების გზით

პროდუქტის ტიპთან შესაბამისობის დადგენა შიდა საწარმოო კონტროლის და პროდუქტის შემთხვევითი შერჩევის ინტერვალებით შემოწმების გზით წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ დანართის მე-2 და მე-3 მუხლებით, ამ დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ დანართის მე-6 მუხლით პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელმაც დააკმაყოფილა ამ დანართის მე-4 მუხლის მოთხოვნები, შეესაბამება პროდუქტის ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამის მოთხოვნებს.

მუხლი 2. წარმოება

მწარმოებელი ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოების ჰომოგენურობა და წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობა პროდუქტის ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და უზრუნველყოს, რომ წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალება აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.



მუხლი 3. განაცხადი პროდუქტის ზედამხედველობის ქვეშ შემთხვევითი ინტერვალებით შემოწმებისთვის

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალების ბაზარზე განთავსებამდე მწარმოებელი ვალდებულია მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს წარუდგინოს განაცხადი პროდუქტის ზედამხედველობის ქვეშ შემთხვევითი ინტერვალებით შემოწმებისთვის. განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- ა) მწარმოებლის სახელს და მისამართს, ხოლო უფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევაში ამ უკანასკნელის სახელსა და მისამართს;
- ბ) წერილობით დასტურს, რომ მსგავსი განაცხადი არ იქნა წარდგენილი სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის;
- გ) განსახილველი ინდივიდუალური დაცვის საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ არჩეული შესაბამისობის შემფასებელი პირი არ წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც განახორციელა ტიპის გამოცდა, განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს:

- ა) III დანართით გათვალისწინებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას;
- ბ) ტიპის გამოცდის სერტიფიკატის ასლს.

მუხლი 4. პროდუქტის შემოწმებები

1. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია განახორციელოს პროდუქტის შემოწმებები, წარმოების ჰომოგენურობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტიპის გამოცდის სერტიფიკატით აღწერილ ტიპთან შესაბამისობისა და ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების დასადასტურებლად.

2. პროდუქტის შემოწმებები უნდა განხორციელდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ, შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ შემთხვევით შერჩეული ინტერვალებით. პირველი შემოწმება უნდა განხორციელდეს ტიპის გამოცდის სერტიფიკატის გაცემის თარიღიდან არაუმეტეს 1 წლის შემდეგ.

3. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია მწარმოებელთან შეთანხმებულ ადგილზე შეარჩიოს წარმოებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების ნიმუშების ადეკვატური რაოდენობა. ყველა შერჩეული ინდივიდუალური დაცვის საშუალების ნიმუში უნდა შემოწმდეს და გამოიცადოს შესაბამისი სტანდარტით ან/და სხვა ტექნიკური სპეციფიკაციებით გათვალისწინებული წესის დაცვით, ინდივიდუალური დაცვის საშუალების, ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ ტიპთან შესაბამისობისა და ასევე ამ უკანასკნელის მიერ სათანადო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების დადასტურების მიზნით.

4. იმ შემთხვევაში, თუ არჩეული შესაბამისობის შემფასებელი პირი არ წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც გასცა ტიპის გამოცდის სერტიფიკატი, იგი ვალდებულია ნიმუშის შესაბამისობის შეფასებისას კითხვების გაჩენის შემთხვევაში, დაუკავშირდეს ხსენებული სერტიფიკატის გამცემ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

5. ნიმუშების შემოწმების პროცედურა მიზნად ისახავს ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად წარმოების პროცესის ჰომოგენურობის მისაღებ ლიმიტებში განხორციელების დადგენას,

6. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებისა და გამოცდების პროცედურით დადგინდა, რომ წარმოება არ არის ჰომოგენური, ინდივიდუალური დაცვის საშუალება არ შეესაბამება ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს, ან შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია მიიღოს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელი ზომები და აღნიშნულის შესახებ აცნობოს შესაბამისობის შემფასებელ პირს.



მუხლი 5. შემოწმების ანგარიში

1. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია მწარმოებელს მიაწოდოს შემოწმების ანგარიში.
2. მწარმოებელი ვალდებულია შემოწმების ანგარიში წარსადგენად შეინახოს, ინდივიდუალური დაცვის საშუალების ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.
3. მწარმოებელი შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ, ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე წარმოების დროს დაიტანოს შესაბამისობის შემფასებელი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი.

მუხლი 6. შესაბამისობის დეკლარაცია

1. მწარმოებელი ვალდებულია წერილობით შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია ინდივიდუალური დაცვის საშუალების თითოეული მოდელისათვის და უზრუნველყოს მისი შენახვა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში უნდა მიეთითოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოდელი, რომლისთვისაც შედგენილ იქნა დეკლარაცია.
2. შესაბამისობის დეკლარაციის ასლი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოებს.

მუხლი 7. ავტორიზებული წარმომადგენელი

მწარმოებლისთვის დადგენილი ვალდებულებები, მის მაგივრად და მისივე პასუხისმგებლობის ქვეშ, შესაძლოა შესრულდეს მისი ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ, თუ აღნიშნული ცალსახად გათვალისწინებულია ამ უკანასკნელის უფლებამოსილების მიმნიჭებელ დოკუმენტში. ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები არ შეიძლება შესრულდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

დანართი VIII

ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე

(მოდული D)

მუხლი 1. ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე

ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე არის შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილი, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ დანართის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ მოცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეესაბამება ტიპის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.

მუხლი 2. წარმოება

ინდივიდუალური დაცვის საშუალების წარმოების, საბოლოო პროდუქტის ინსპექტირებისა და გამოცდისთვის მწარმოებელმა უნდა გამოიყენოს წარმოების აღიარებული ხარისხის სისტემა ამ დანართის მე-3 მუხლის შესაბამისად და უნდა დაეკავშირებაროს ზედამხედველობას ამ დანართის მე-4 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3. ხარისხის სისტემა

1. მწარმოებელმა პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ



ინფორმაცია:

- ა) მწარმოებლის სახელს და მისამართს, ხოლო უფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევაში ამ უკანასკნელის სახელსა და მისამართს;
- ბ) მწარმოებლის მისამართს, სადაც შესაძლებელია ფინანსური აღრიცხვის წარმოება;
- გ) წერილობითი ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მსგავსი განაცხადით არ მიუძღვარათ სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის;
- დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ე) ხარისხის სისტემასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისობის შემფასებელი პირი არ წარმოადგენს ტიპის გამოცდის სერტიფიკატის გამცემ ორგანოს, განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) III დანართით გათვალისწინებულ ინდივიდუალური დაცვის საშუალების დამტკიცებული ტიპის ტექნიკურ დოკუმენტაციას;
- ბ) ტიპის გამოცდის სერტიფიკატის ასლს.

3. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეესაბამებოდეს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამის მოთხოვნებს.

4. მწარმოებლის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მეთოდი უნდა იქნეს სისტემატურად და თანმიმდევრულად დოკუმენტირებული წესების, პროცედურებისა და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და ანგარიშების თანმიმდევრული ინტერპრეტაციის საშუალებას. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდგომი ინფორმაციის სათანადო აღწერას:

- ა) ხარისხის მიზნებს, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით მენეჯმენტის მმართველობით უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს;
- ბ) წარმოების პროცესში გამოყენებული ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდებს, პროცესებისა და სისტემატური ქმედებების აღწერას;
- გ) წარმოების დაწყებამდე, წარმოების განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომ შემოწმებისა და გამოცდების შესახებ ინფორმაციას და მათი განხორციელების სიხშირეს;
- დ) ხარისხობრივ ჩანაწერებს, მათ შორის ინსპექტირების ანგარიშებს, გამოცდების მონაცემებს, კალიბრაციისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველ ანგარიშებს;
- ე) პროდუქტის ხარისხის მისი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

5. შესაბამისობის შეფასების პირმა უნდა შეაფასოს პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ხარისხის სისტემის სხვადასხვა ელემენტების შესაბამისობის დადგენას სათანადო სტანდარტის შესაბამის სპეციფიკაციებთან.

6. ხარისხის მართვის სისტემებში სათანადო გამოცდილების გარდა, აუდიტის განმახორციელებელი ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სფეროს და შესაბამისი ტექნოლოგიის შეფასების გამოცდილება და სათანადო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას. აუდიტის ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა



აღნიშნულით დაადასტუროს მწარმოებლის მიერ სათანადო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გამოცდების ჩატარების უნარი.

7. აღნიშნული შეფასების შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

8. მწარმოებელი ვალდებულია საკუთარ თავზე აიღოს დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ადეკვატურობის და ეფექტურობის შენარჩუნების პასუხისმგებლობა.

9. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

10. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული ცვლილებები და გადაწყვიტოს, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ინარჩუნებს თუ არა სახეცვლილი ხარისხის სისტემა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას, გადაწყვიტოს საჭირო არის თუ არა ხელახალი შეფასების განხორციელება. იგი ვალდებულია მწარმოებელს აცნობოს მისი გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული შემოწმების დასკვნებსა და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

11. შესაბამისობის შეფასების პირი ვალდებულია მწარმოებელს მისცეს უფლება დაიტანოს შესაბამისობის შეფასების პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, თითოეულ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე, რომელიც შეესაბამება ტიპის გამოცდის სერტიფიკატში მითითებულ ტიპს და აკმაყოფილებს ამ ამ ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებს.

მუხლი 4. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ

1. ზედამხედველობის მიზანია უზრუნველყოს მწარმოებლის მიერ ხარისხის სისტემის ვალდებულებების სათანადო შესრულება.

2. შეფასების მიზნებიდან გამომდინარე მწარმოებელი ვალდებულია შესაბამისობის შეფასების პირი დაუშვას წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის დასაწყობების ადგილებში და მიაწოდოს მას ინფორმაცია, კერძოდ:

ა) დოკუმენტაცია ხარისხის სისტემის შესახებ;

ბ) ხარისხობრივი ჩანაწერები, ისეთები როგორცაა: ინსპექტირების ანგარიშები, გამოცდების მონაცემები, კალიბრაციის შედეგები, სათანადო პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველი ანგარიშები და სხვა.

3. შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია სულ მცირე წელიწადში ერთხელ განახორციელოს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და მწარმოებელს წარუდგინოს აღნიშნული აუდიტის ანგარიში.

4. გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შემოწმებისა, შესაბამისობის შემფასებელ პირს უფლება აქვს გაფრთხილების გარეშე ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად. ამგვარი ვიზიტის დროს შესაბამისობის შემფასებელმა პირმა საჭიროებისამებრ, შესაძლოა თავად განახორციელოს ან სხვისი მეშვეობით უზრუნველყოს პროდუქტის შემოწმება, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სათანადო ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა მწარმოებელს უნდა გადასცეს შემოწმების ანგარიში და გამოცდების ჩატარების შემთხვევაში გამოცდის ანგარიშები.

მუხლი 5. შესაბამისობის დეკლარაცია

1. მწარმოებელმა თითოეული ინდივიდუალური დაცვის საშუალებისთვის წერილობით უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია და შეინახოს იგი ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის



წარსადგენად პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.

2. შესაბამისობის დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოდელი, რომლისთვისაც აღნიშნული დეკლარაცია იქნა შედგენილი. შესაბამისობის დეკლარაციის ასლი მოთხოვნის შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის.

მუხლი 6. ინფორმაციის შენახვის ვალდებულება

1. მწარმოებელი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალების ბაზარზე განთავსების შემდგომ 10 წლის განმავლობაში, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად შეინახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

ბ) ამ დანართის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დამტკიცებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია;

გ) ამ დანართის მე-3 მუხლის მე-9, მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

მუხლი 7. შესაბამისობის შემფასებელი პირის ვალდებულება

ყველა შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შეატყობინოს აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს - მათ მიერ გაცემული ან გაუქმებული ტიპის გამოცდის სერტიფიკატებისა და მათი შემდგომი დამატებების (დანართების) შესახებ, ასევე პერიოდულად ან მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს - იმ სერტიფიკატებისა და შესაბამისი დამატებების სია, რომელიც არ გაიცა, შეიზღუდა ან სხვაგვარად მოხდა მათი აკრძალვა. ყველა შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შეატყობინოს სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს იმ ტიპის გამოცდის სერტიფიკატებისა და შესაბამისი დამატებების სია, რომლებიც არ გაიცა, გამოთხოვილი იქნა, მოქმედება შეუჩერდა ან მათ მიერ სხვაგვარად იქნა აკრძალული, ასევე მოთხოვნის საფუძველზე შეატყობინოს გაცემული სერტიფიკატებისა და თანდართული დამატებების შესახებ.

მუხლი 8. ავტორიზებული წარმომადგენელი

ამ დანართის მე-3 მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებში და ამ დანართის მე-6 მუხლში მოცემული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულებულ იქნეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ამ უკანასკნელის სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, თუ აღნიშნული განსაზღვრულია შესაბამისიწერილობითი უფლებამოსილებით.

დანართი IX

შესაბამისობის დეკლარაცია N ...

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება (პროდუქტი, ტიპი, პარტიის ან სერიის ნომერი):

2. მწარმოებლის ან მისი ავტორიზებული წარმომადგენლის სახელი და მისამართი:

3. ეს შესაბამისობის დეკლარაცია შედგენილია მხოლოდ მწარმოებლის პასუხისმგებლობის ქვეშ:

4. დეკლარაციის საგანი (ინდივიდუალური დაცვის საშუალების იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიკვლევადობას); აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური დაცვის საშუალების იდენტიფიცირებისთვის შეიძლება თან დაერთოს ფერადი სურათი:

5. მითითება იმ ნორმატიულ აქტზე, რომელთან შესაბამისობაშია დეკლარაციის ამ დანართის მე-4 პუნქტში მითითებული დეკლარაციის საგანი.



6. მითითება გამოყენებულ სტანდარტებზე, ან ტექნიკურ სპეციფიკაციებზე, რომელთა მიმართ შესაბამისობა არის დეკლარირებული.

7. შესაბამის შემთხვევებში, აკრედიტებული პირის...(სახელი და საიდენტიფიკაციო ნომერი), რომელმაც განახორციელა ტიპის გამოცდა (მოდული B) და გასცა ტიპის გამოცდის სერტიფიკატი (აღნიშნულ სერტიფიკატზე მითითება).

8. სათანადო შემთხვევაში, ინდივიდუალური დაცვის საშუალება ექვემდებარება შესაბამისობის შეფასების პროცედურას (ტიპზე დაყრდნობით შიდა პროდუქციის კონტროლი და შემთხვევითი პერიოდულობით პროდუქტის შემოწმება (მოდული C2) ან ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე (მოდული D)... აკრედიტებული პირის ზედამხედველობის ქვეშ...(სახელი და ნომერი).

9. დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერილია: ...

(გამოცემის ადგილი და თარიღი):

(სახელი, ფუნქცია) (ხელმოწერა):

დანართი X

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის დადგენილება №318 – ვებგვერდი, 02.07.2021წ.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა №1

№	კატეგორია	საქონლის დასახელება	სასაქონლო კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ-ის) მიხედვით
1.	რესპირატორი	რესპირატორული დამცავი ნიღბები შეცვლადი ფილტრებით	9020 00 000 90
		რესპირატორული მოწყობილობა სახის დამცავი ნიღბით	
		აირებისგან დამცავი რესპირატორული მოწყობილობები	
		რესპირატორული აღჭურვილობები – დავინგისთვის	



		ნაწილაკების მფილტრავი რესპირატორული დამცავი პირბადეები	6307 90 990 00
2.	თვალისა და სახის დაცვა	თვალის ინდივიდუალური დამცავი ფარები და სათვალეები	9004
		თვალის ინდივიდუალური დამცავი შემდუღებლისთვის	
		ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დამცავი სათვალეები	
		სათხილამურო დამცავი სათვალე	
		დამცავი სათვალეები მოტოციკლეტისა და მოპედისთვის	
		თოვლმავალის მართვის დროს დამცავი სათვალეები	
		მზის კამკაშისაგან დამცავი სათვალეები სამრეწველო გამოყენებისათვის	
		ლაზერული გამოსხივებისაგან დამცავი სათვალეები	
3.	სმენის დამცავი საშუალებები	ხმაურის დონის გარდამქმნელი სმენის დამცავი ყურსაფარები	8518 30 950 00
		სმენის დამცავი ყურსაფარები ელექტრო-აუდიო გადამცემით	8517 62 000 00
4.	სიმალიდან ვარდნისგან დამცავი მოწყობილობა	სიმალიდან ვარდნისგან დამცავი ღვედი/ქამარი	6307 20 000 00
5.	დამცავი ჩაფხუტები	ინდუსტრიული დამცავი ქუდი	6506 10 100 00
		ჩაფხუტები საჰაერო სპორტისათვის	6506 10 100 00
		ჩაფხუტები სამთო მოთხილამურეებისა და სნოუბორდერებისთვის	6506 10 100 00
		ჩაფხუტები ველოსიპედისტების, სკეიდბორდისა და როლიკების მომხმარებლებისათვის	6506 10 100 00
		ჩაფხუტები კანოეთი ცურვისა და წყლის სპორტისათვის	6506 10 100 00



		ჩაფხუტები მარხილების მომხმარებლებისათვის	6506 10 100 00
		დამცავი ჩაფხუტები თოვლის მანქანების და ბობსლეის მძღოლებისა და მგზავრებისათვის	6506 10 100 00
		სამრეწველო დამცავი ჩაფხუტები	6506 10 100 00
		ჩაფხუტები მეხანძრეებისთვის	6506 10 100 00
		ჩაფხუტები ალპინისტებისათვის	6506 10 100 00
6.	დამცავი სპეცსამოსი	ინფექციური საშუალებებისგან დამცავი საიზოლაციო კომბინიზონი	6210 10 920 00
		სამაშველო ქილეტები	6307 20 000 00
		თხევადი ქიმიკატებისგან დამცავი სამოსი	უქსოვადი მასალა დაფარული პლასტმასით - 6210 98 000 00
			პლასტმასის ფურცლებისგან - 3926 20 000 00
		დამცავი სპეცსამოსი პესტიციდებთან მუშაობისას	უქსოვადი მასალა დაფარული პლასტმასით - 6210 98 000 00
			პლასტმასის ფურცლებისგან - 3926 20 000 00
		მაღალი ხილვადობის ტანსაცმელი	6211 43 900 00
		მყვინთავის კოსტიუმი – უნიფიცირებული კოსტიუმები	6210 40 000 00
მყვინთავის კოსტიუმები – თბობადი და გაგრილებადი კოსტიუმების სისტემები და კომპონენტები	6210 40 000 00		
7.			6401 10 000 00
		ჯაჭვური ხერხისგან დამცავი ფეხსაცმელი	6403 40 000 00
			6401 92 100 00
			6401 92 900 00
			6401 10 000 00



		ფებსაცმელები მებანძრეებისათვის	6401 99 000 00
			6401 92 100 00
	დამცავი ფებსაცმელი		6401 92 100 00
			6401 99 000 00
		ქიმიკატებისგან დამცავი ფებსაცმელები	6401 10 000 00
8.	დამცავი ხელთათმანები	თერმული საფრთხეებისგან დამცავი ხელთათმანი	6216 00 000 00
		მექანიკური რისკებისგან დამცავი ხელთათმანები	6216 00 000 00
		იონიზებული რადიაციისა და რადიაქტიური დაბინძურებისგან დამცავი ხელთათმანი	6216 00 000 00
		დანით მიყენებული ჭრილობებისგან დამცავი ჯაჭვის ხელთათმანი	7323 10 000 000
		დამცავი ხელთათმანები შემდუღებლებისათვის	6216 00 000 00
		სახიფათო ქიმიური და მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები	ვულკანიზებული რეზინის მასალისგან 4015 19 000 00



	დამცავი ხელთათმანები მებანძრეებისათვის	6216 00 000 00
	ელექტრობისგან დამცავი ხელთათმანი	6216 00 000 00
	დამცავი ფეხსაცმელი მოტოციკლისტებისათვის	6403 19 000 00
	ფეხბურთის მეკარის დამცავი ხელთათმანი	4203 21 000 00
	დამცავი აღჭურვილობა საბრძოლო ხელოვნებისათვის- თავის დამცავები	9506 99 900 00
	დამცავი აღჭურვილობა საბრძოლო ხელოვნებისათვის- გენიტალიებისა და მუცლის დამცავები	9506 99 900 00
	დამცავი აღჭურვილობა საბრძოლო ხელოვნებაში- ქალებისთვის მკერდის დამცავი	9506 99 900 00
	მაჯის, ხელისგულის, მუხლის და იდაყვის დამცავები გორგოლაჭებიანი სპორტისთვის	9506 99 900 00
	დამცავი სამოსი ცხენოსნობისთვის – ჟაკეტები, სხეულისა და მხრების დამცავები	9506 99 900 00
	დამცავი სამოსი – წვივისაფარი – ეკვიპირების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ფეხბურთელებისთვის	9506 99 900 00
	მუხლის და იდაყვის დამცავი დარბაზის სპორტისთვის	9506 99 900 00
	დამცავი სამოსი ხელის პროტექტორები, ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის	



9.

**სპორტული დამცავი
აღჭურვილობა**

დამცავი სამოსი მხრის პროტექტორები ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის	
დამცავი სამოსი მკერდის პროტექტორები ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის	
დამცავი სამოსი მუცლის პროტექტორები ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის	
დამცავი სამოსი ფეხის პროტექტორები ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის და წვივის პროტექტორები მინდორზე მოთამაშებისთვის	9506 99 900 00
დამცავი სამოსი ტერფის პროტექტორები ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის და წვივის პროტექტორები მინდორზე მოთამაშებისთვის	
დამცავი სამოსი გენიტალიების პროტექტორები ბალახის ჰოკეის მეკარეებისთვის და წვივის პროტექტორები მინდორზე მოთამაშებისთვის	
ქვებისგან და ტალახისგან დამცავი სპეც. სამოსი მოტოციკლეტებისთვის	9506 99 900 00
დამცავი აღჭურვილობა საბრძოლო ხელოვნებისთვის – ხელისა და ფეხის დამცავები	9506 99 900 00
დამცავი აღჭურვილობა კარატეში, სახის დამცავები	9506 99 900 00
ხელის დამცავი სამოსი მოფარიკავეთათვის	
მხრის დამცავი სამოსი მოფარიკავეებისთვის	
მკერდის დამცავი სამოსი მოფარიკავეებისთვის	
მუცლის დამცავი სამოსი მოფარიკავეებისთვის	9506 99 900 00
ფეხის დამცავი სამოსი მოფარიკავეებისთვის	
ტერფის დამცავი სამოსი მოფარიკავეებისთვის	
გენიტალიების დამცავი სამოსი მოფარიკავეებისთვის	
სახის პროტექტორი, მოფარიკავეებისთვის	
სამთო მოწყობილობები – ცინულის ანკერი	9506 99 900 00



		დამცავი საშუალებები სიმალიდან დაშვებისათვის – გამაგრების მექანიზმები	9506 99 900 00
		ალუმინისტური აღჭურვილობა. ჩამკეტები.	9506 99 900 00
		აღჭურვილობა ალუმინიზმისათვის. თოკის მომჭერები	9506 99 900 00
		აღჭურვილობა ალუმინიზმისათვის – სოლები	9506 99 900 00
		ალუმინისტის ბაგირი	9506 99 900 00
		ალუმინისტის მარყუჭი	9506 99 900 00
		აღჭურვილობა ალუმინიზმისათვის – შემაერთებლები (კარაბინი)	9506 99 900 00
		აღჭურვილობა ალუმინიზმისათვის – ფრიქციული ანკერები	9506 99 900 00
		სიმალიდან ჩამოვარდნისგან ინდივიდუალური დაცვა-ბაწრების გამოყენების სისტემები. ბაწრების რეგულირების მექანიზმები	9506 99 900 00
		აღჭურვილობა ალუმინისტებისთვის – დამჭერი-სამუხრუჭე მოწყობილობები – დამჭერი-სამუხრუჭე მოწყობილობები მექანიკური ხელის ჩამკეტებით	9506 99 900 00
		ალუმინისტური აღჭურვილობა. გორგოლაჭები/შკივები	9506 99 900 00
10.	სხვა	სამთო აღჭურვილობა - ზვავის საწინააღმდეგო უსაფრთხოების ბალიშების სისტემები	9506 99 900 00

დანართი XI

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის დადგენილება №318 – ვებგვერდი, 02.07.2021წ.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა №2

№	კატეგორია	დასახელება
1	რესპირატორი	რესპირატორული დამცავი მოწყობილობის ფილტრები



2	თვალისა და სახის დაცვა	<p>მზის გამოსხივებისგან დამცავი სათვალე (არ შედის მოდური აქსესუარები, რომლებსაც მზისგან დამცავი ფუნქცია არ გააჩნიათ)</p> <p>თვალისა და სახის ბადისებრი დამცავი ფარი</p>
3	სმენის დამცავი საშუალებები	<p>სმენის დამცავი ყურის საცობები პროფესიული გამოყენებისთვის</p> <p>სმენის დამცავი ყურსაფარები პროფესიული გამოყენებისთვის</p> <p>სმენის დამცავი ყურსაფარები, მიმაგრებული დამცავ სამრეწველო ჩაფხუტზე</p> <p>აუდიოაღჭურვილობის მქონე სმენის დამცავი ყურსაფარები, მიმაგრებული დამცავ სამრეწველო ჩაფხუტზე</p>
4	სიმალიდან ვარდნისგან დამცავი მოწყობილობა	<p>სიმალიდან ვარდნის შემზღვეველი მოწყობილობა</p> <p>სიმალიდან ვარდნის დამცავი ბაგირი</p> <p>სიმალიდან ვარდნის დამცავი ბაგირის ენერჯის ჩამხშობი ნაწილი</p> <p>სიმალიდან ვარდნისგან დამცავ უსაფრთხოების ღვედზე მისამაგრებელი ქამარი</p> <p>სიმალიდან ვარდნის შემაჩერებელი მოწყობილობა</p> <p>სიმალიდან ვარდნისგან დამცავი მოწყობილობის კონექტორები/შემაერთებლები</p>
5	დამცავი ხელთათმანები	<p>სიცივისგან დამცავი ხელთათმანები პროფესიული გამოყენებისთვის</p>
		<p>სახიფათო მყარი, თხევადი და აირისებრი ქიმიკატებისგან დამცავი კომბინიზონი</p> <p>მყარი ნაწილაკებისგან დამცავი სპეცსამოსი</p> <p>საწვიმარი პროფესიული გამოყენებისთვის</p> <p>რადიოაქტიური დაბინძურებისგან დამცავი კომბინიზონი</p> <p>დამცავი სპეცსამოსი მეხანძრეებისთვის.</p> <p>დამცავი სპეცსამოსი ელექტროობისგან დასაცავად</p>



6	დამცავი სპეცსამოსი	მაღალი ხილვადობის ტანსაცმელი და აქსესუარები არაპროფესიული გამოყენებისთვის
		ამრეკლავი (მეტალიზირებული) მასალისგან დამზადებული სპეცსამოსი მეხანძრეებისთვის
		დანით გამოწვეული ჭრილობებისა და ჩხვლეტისგან დამცავი წინსაფრები, შარვლები და ჟილეტები
		სიცვისგან დამცავი სპეცსამოსი პროფესიული გამოყენებისთვის
		ცეცხლისა და თერმული საფრთხეებისგან დამცავი სპეცსამოსი მრბოლელებისათვის
		დამცავი სპეცსამოსი პროფესიონალი მოტოციკლისტებისთვის. ჟაკეტები, შარვლები და კომბინიზონები.
		დამცავი სპეცსამოსი აბრაზიულ აპარატთან მუშაობისთვის
		დამცავი სპეცსამოსი ბენზოხერხის მომხმარებლებისთვის
		მყვინთავის კოსტუმები
7	დამცავი ფეხსაცმელი	დამცავი ფეხსაცმელები პროფესიული გამოყენებისთვის
8	სხვა	უსაფრთხოების ღვედები გემზანის ეკიპაჟისთვის “.

